გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№13 (908) 17 - 18 თებერვალი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

## ვაზელინიადა ანუ პოლიტიკა და სექსი

გვ. 2

**„სოფელში ხმა დადის, თემურ ფეიქრიშვილი ნაციონალებიდან „ოცნებაში“ გადაბარგდა და ზვიად ძიძიგურს სახლს უშენებსო...“**

## ახალი სკანდალი

„წავკისელ ფეოდალად“ შერაცხულ დეპუტატს მიწების უკანონოდ მითვისებაში ტაბახმელელებიც ამხელენ

გვ. 6

**სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ნავთობკომპანიები გამოავლინეს**

გვ. 7

საქართველოს ბანკი-ს
BANK OF GEORGIA

**უნივერსიტეტი — უმაღლესი სტანდარტის განათლების კერა მომავალი ბიზნესმენებისთვის**

გვ. 8

**„ენერგო-პრო ჯორჯია“ ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აგრძელებს**

გვ. 8

**მსახიობი და დირიჟორი ირაკლი ჩოლოყაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრი გახდა**

„მირჩევნია, ვიყო ევროპული, ვიდრე საერთოდ გავნადგურდე!“

გვ. 9

# პატარკაციშვილის ოჯახი პრემიერ ღარიბაშვილს აშანტაჟებს?!

ინა გუდავაძე პოლიტიკაში მოდის — განსვენებული ბიზნესმენის მეგობრის სკანდალური ინტერვიუ



გვ. 3

ნიკოლოზ მჟავანაძე: „გურამ ოდიშარიას უწყებას კორუფციის სუნი ასდის!“

გვ. 4

## დოკუმენტები, რომელთა გამოც მარინა ბერიძე, ზუმბა, სტეფანე, კახაბერი და სოფო ნიჟარაძე, შეიძლება, დაკითხვაზე დაიბარონ






# ვაზელინიადა ანუ პოლიტიკა და სექსი

გიორგი იაშვილი

**ქართული იგავია: ძაღლები ლეშს ჭამენ და ერთმანეთს უღრენენ. რამდენჯერაც მგელი გამოჩნდება, ძაღლები იმდენჯერ თავს ანებებენ ლეშს და მგელს ერთად იგერიებენ. მგელი გაოცებულია, ერთმანეთს გასაგლეჯად იმეტებენ, როგორც კი მე გამოვჩნდები, ერთიანდებიანო...**

საქართველოში, ოდითგანვე, ასეთი ტენდენციაა: თუ მმართველი პარტია მარცხდებოდა, ისე ქრებოდა პოლიტიკური სივრციდან, თითქოს, არც არსებულა. ჯერ პოლიტიკურ ლეშად იქცეოდა, მერე ყარდა და ხან გაერთიანებული ძაღლები გლეჯდნენ, ხანაც ლეშის სუნით შეწუხებული ხალხი ისროდა პოლიტიკურ სანაგვეზე. ასე დაემართა კომუნისტურ პარტიას, მერე „მრგვალ მაგიდას“, მერე მოქალაქეთა კავშირს და აგერ, ნაციონალური მოძრაობის რიგიც მოვიდა.

წინა სახელისუფლებო პარტიებისგან განსხვავებით, ნაცმოძრაობა კბილებით იბრძვის და იმის მიუხედავად, რომ ჩასაძირად განწირული ნაციონალური გემიდან ბევრი გადახტა (და როცა გემი იძირება, რომელი სულიერი ტოვებს პირველი, შეხსენება არ გჭირდებათ), მაინც ჯიუტად ეძებენ მაშველ რგოლს. პრინციპში, რაღა ეძებენ, აგერ, ლევან ბერძენიშვილმა თქვა, ჩვენ ძალიან გვინდოდა, ნაციონალური მოძრაობა ყოფილიყო ხელისუფლების შემდგომი პარტია, მაგრამ ამ შანსს ხელიდან უშვებსო.

ვერ გეტყვით, რატომ არის ლევან ბერძენიშვილის გადასაწყვეტი, ვინ უნდა ყოფილიყო ხელისუფლების შემდგომი პარტია, მაგრამ, ფაქტია — ნაციონალური მოძრაობა შანსს, მართლაც, ხელიდან უშვებს. პარტიის თავმჯდომარედ ისევ მიხეილ სააკაშვილი რჩება, თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარეობას გიგი უგულავა აპირებს, დაანონსებული ახალი სახეები კი კვლავ არ ჩანან, რაც, მინიმუმ, იმას ნიშნავს, რომ ნაციონალებს ახალი სახეები, უბრალოდ, არ ჰყავთ ანუ, მათთან ერთად, ჩაძირვის მსურველი ცოტაა და ის ცოტაც ისეთი, გამოსაჩენად რომ არ ღირს.

ისევ მიმდინარე პროცესებს დავუბრუნდეთ. პოლიტიკურ აკვარიუმში ტივტივს ერთი ნავიდან მეორეში გადასული პოლიტიკოსებიც აპირებენ. ზოგადად, საქართველო პარადოქსების ქვეყანაა და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ბევრი მათგანი ამას მოახერხებს და თან ისე, შუბლზე ძარღვიც არ აუტოკდება (რაც არ არის, ის არც ტოკავს).

პარადოქსია ისიც, რომ ქვეყნის მასშტაბით ვაზელინის სუნი დგას, მაგრამ ეს მალამო მაინც დეფიციტშია. როგორც ჩანს, გვარიანად მომარაგებული ჰქონიათ და ისე აქტიურად იყენებენ, თავებს პრიალი გაუდის.

და მაინც, რას უნდა ველოდეთ ამ დაპირისპირებიდან? პირველ რიგში იმას, რომ სანახაობას მონატრებული ხალხი აშკარად გაერთობა და რაც უფრო ხშირად იქნება გაწევ-გამოწევა, მით დიდი რეიტინგი ექნება გადაცემასა თუ პარლამენტის სხდომებს. სოსო ჯაჭვლიანის მიერ გიორგი ბარამიძის მიჯირყვნას უფრო მეტი „ნახვა“ ჰქონდა სოციალურ ქსელებში, ვიდრე — ირაკლი ღარიბაშვილის ევროპულ ვიზიტს, რაც იმას ნიშნავს, რომ ხალხს, ევროპაზე მეტად, ნაცემი ნაცები აინტერესებს ანუ როგორც ჯანსულ ჩარკვიანი იტყოდა, ქაჯობამ გვაჯობა. პრინციპში, ჯერ ბოლომდე არ უჯობნია, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, სალომე ზურაბიშვილის უკვდავი ფრაზის — „ქაჯები კი არ მოდიან, მიდიან“ პერიფრაზი მოგვიწევს.

აქ წერტილის დასმაც შეიძლებოდა, მაგრამ ქართულ პოლიტიკაში წერტილს არავინ სვამს, ძირითადად, მძიმეებზე ვართ ორიენტირებულნი და წინ კიდევ არაერთი მძიმე კვირა თუ თვე გველის. მანამდე კი, სანახაობით ისიამოვნეთ, პურის გემო ხადურს ჰკითხეთ, ხუდონის ამბები — ლევან პირველს, პუტინთან შეხვედრის პერსპექტივები კი — მიხეილ ხუბუტიას. ადრე საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა, რევაზ ძოძუაშვილმა თქვა, ფეხბურთი სექსი არ არის, ორივე მხარე კმაყოფილი დარჩესო... არც პოლიტიკაა სექსი, ბატონებო და მუდმივ კმაყოფილებას ნუ მოინდომებთ.

**P.S. ცნობისთვის, ძაღლი ადამიანის მეგობარია.**





# ზაქარია ქუცნაშვილი თანაგუნდელებს ემიჯნება

რუსუდან შელია
557-100-768

**უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, თანაგუნდელებს რამდენიმე საკითხში არ ეთანხმება და აღიარებს, რომ საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების მიმართულებით, პრობლემებია. ამასთან, არც მაჟორიტარი კანდიდატებისთვის 40%-იანი ბარიერის დაწესება მიაჩნია სწორ გადაწყვეტილებად.**

— არ ვიზიარებ ოპოზიციის შეფასებას, რომ საარჩევნო კოდექსი, წინა წლებთან შედარებით, გაუარესდა. ადრე წინასაარჩევნო კამპანია ძალადობრივი აქტებით იმართებოდა, ახლა კი, მსგავსი პრობლემა დღის წესრიგში არ დგას. პირიქით, ყველამ ერთხმად აღიარა, რომ საპრეზიდენტო არჩევნები აბსოლუტურად თავისუფალ პირობებში ჩატარდა.

**— ეს გასაგებია, მაგრამ საარჩევნო კოდექსი არსობრივად არ შეცვლილა და დღესაც დომინანტურ პოზიციაში სახელისუფლო პარტიებია. წელიწადნახევარი ხარვეზების აღმოსაფხვრელად საკმარისი რატომ ვერ აღმოჩნდა?**

— რთულია უარყოფა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციულ ნაწილში პრობლემები არ არსებობს. ფაქტია: ძველი სისტემა ძალაში დარჩა, თუმცა ეს პუნქტები ჩვენი დაწესებული არ არის. კოალიციას კიდევ სჭირდება დრო, ადმინისტრაციული კომისიის დაკომპლექტების პრინციპზე რომ ჩამოყალიბდეს.

**— ანუ ოპოზიციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ჯერჯერობით, პოლიტიკური ნება არ არსებობს?**

— არაძალადობრივი წინასაარჩევნო კამპანიის კვალობაზე, კომისია მხოლოდ ადმინისტრატორის ფუნქციას ასრულებს, თანაც ნებისმიერ პარტიას უბანში ორი წარმომადგენლის ყოლის შესაძლებლობა აქვს. მათ მარტივად შეუძლიათ, ხმების გადათვლა მოითხოვონ და ბიულეტენების გადათვლის პროცესსაც დააკვირდნენ. ჩვენი ინიციატივით, პარტიულ წარმომადგენლებს დაფინანსება ას ლარამდე გავუზარდეთ, 150 ლარს კი, ის პარტიული წარმომადგენლები მიიღებენ, რომლებიც საარჩევნო კომისიაში მუშაობენ. რაც შეეხება საეთერო დროს, კანონის მიხედვით, ის მხოლოდ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ეკუთვნის. ამ შემთხვევაში, პრობლემა ახლადდაფუძნებულ პარტიებს ექმნებათ, რომლებსაც არჩევნებში მონაწილეობა ჯერ არ მიუღიათ და, შესაბამისად, მათი პოლიტიკური რეიტინგის გაზომვაც შეუძლებელია. ამ მიმართულებით ფიქრი შეიძლება, თუმცა პრინციპის — საარჩევნო პარტიის სტატუსი მოიხსნას და ყველას ფული მივცეთ — წინააღმდეგი ვარ.

**— სამაგიეროდ, ეთანხმებით ოპოზიციის მოთხოვნას 50%-იან ბარიერთან დაკავშირებით, ესე იგი, „ქართული ოცნება“ მაღალი ბარიერის გადალახვის საფრთხის წინაშე დგას?**

— 50%-იან ბარიერთან დაკავშირებით, თანაგუნდელებისგან განსხვავებული პოზიცია მართლაც მაქვს, თუმცა 40%-იანი ბარიერის დაწესებაშიც ტრაგედიას ვერ ვხედავ. საარჩევნო რეფორმის მეორე ეტაპზე პარტიული ბარიერი მცირდება, მაჟორიტარული კი იზრდება. ასე რომ, ჯამში, დინამიკა პოზიტიურია, თან კოლეგებმა უკვე განმარტეს, რომ 40%-იანი ბარიერით მეორე ტურებისა და დამატებითი სახსრების ხარჯვის თავიდან აცილება სურთ. არ დაგვავიწყდეს, რომ მოახლოებულ არჩევნებში ათასი მაჟორიტარი და ათასი დეპუტატი პროპორციული სიით, ასევე, 63 რაიონში გამგებელი და მერი პირდაპირი არჩევნების გზით უნდა ავირჩიოთ. შესაბამისად, წინასაარჩევნო კამპანიაში დიდი რაოდენობით ადამიანები ჩაერთვებიან. ბუნებრივია, სოფლის მაჟორიტარობის დონეზე შეჯიბრი გაიმართება და 63-ვე ოლქში, შესაძლოა, „ქართული ოცნების“ კანდიდატმა ვერ გაიმარჯვოს. ისიც ფაქტია, რომ ოპოზიციას ამომრჩევლის განწყობაზე გავლენის მოხდენა არ შეუძლია და არასაპარლამენტო ოპოზიცია ძლიერ კონკურენციას ვერ გაგვიწევს.

**— არც კოალიციის შემთხვევაში?**

— არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალების გაერთიანება ერთადერთი სწორი ნაბიჯი იქნება, თუმცა ჯერ კიდევ საკითხავია — დათანხმდება თუ არა ბურჯანაძე პოლიტიკური ძალების მასთან გაერთიანებაზე ან აღიარებენ თუ არა პარტიები ნინო ბურჯანაძეს საერთო კანდიდატად.

**— როგორ აფასებთ ვახტანგ ხმალაძის ინიციატივას, რომლითაც მერობის კანდიდატებს საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობა აღარ შეეძლებათ?**

— არ ვიცი ეს საკითხი, შესაბამისად, ვერც შევაფასებ.

**— ინიციატივები გუნდთან არ თანხმდება?**

— არ შეთანხმებულა, ამ დღეებში ავად ვიყავი, სიცხე მქონდა და საქმის კურსში არ ვარ, თან, მოგეხსენებათ, ინტერფრაქციული ჯგუფის თავმჯდომარის პოსტიდან გადავდექი.

**— თავმჯდომარის პოსტიდან გადადგომისა და პოლიტიკური პასიურობის მიზეზებს არც ახლა გაამხელთ?**

— ჯერ ამის დრო არ დამდგარა.

## ვერსიანიუსი

# ირაკლი ღარიბაშვილი „თავისუფალ დემოკრატებს“ მადლობას უხდის



**„თავისუფალ დემოკრატებს“ გამორჩეული წვლილი მიგიძღვით იმ წარმატებებში, რომელსაც საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის და ევროატლანტიკური დაახლოების მიმართულებით მივაღწიეთ“,** — ამ სიტყვებით პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „თავისუფალ დემოკრატებს“ პარტიის შექმნიდან ხუთი წლის იუბილე მიულოცა და გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა, — **„ხუთი წლის წინ, როცა სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკე პიკს აღწევდა, თქვენ გაბედეთ და, გაემიჯნეთ ხელისუფლებას. მაშინ თქვენმა გამოჩენამ საზოგადოებას ცვლილებების მოლოდინი გაუჩინა, რადგან ამ გუნდში, ძირითადად, თავი მოიყარეს ადამიანებმა, რომლებმაც უარი თქვეს სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე, უარი თქვეს დიპლომატის საპატიო თანამდებობაზე და ქვეყნის ინტერესი ყველაფერზე წინ დააყენეს“.**

მილოცვისას პრემიერ-მინისტრმა ლევან მიქელაძეც გაიხსენა: **„სახელმწიფოს ინტერესები, დემოკრატიისა და ევროპული ღირებულებებისადმი ერთგულება იყო ის იდეალები, რამაც გაგაერთიანათ და ამას სათავეში ლევან მიქელაძე ედგა. კარგად მესმის, რას ნიშნავს დღევანდელი დღე ამ პარტიის დამფუძნებლებისთვის, მისი წევრებისთვის, როგორი ემოციურია ეს დღე თქვენთვის იმის გამო, რომ სრულიად გამორჩეული ადამიანის, ღირსეული მოქალაქის, შესანიშნავი დიპლომატისა და ჩვენი ქვეყნის პატრიოტის, თქვენი მეგობრის, ლევან მიქელაძის სახელთანაა დაკავშირებული. სამწუხაროა, რომ იგი ჩვენს შორის აღარ არის. ლევან მიქელაძის ირგვლივ გაერთიანებული გუნდი დღეს უკვე ერთ-ერთი წარმატებული პოლიტიკური პარტიაა საქართველოში. ესაა ევროპული ტიპის პარტია, დემოკრატიული ღირებულებების ერთგული პოლიტიკური ძალა“.**

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მისი პოლიტიკური გუნდისთვის — „ქართული ოცნებისთვის“ საამაყოა, რომ ევროპული ტიპის სახელმწიფოს „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად აშენებენ და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ურთულეს და საპასუხისმგებლო საქმეს ერთად ემსახურებიან.

# მამა გაბრიელის საფლავს, სავარაუდოდ, 22 თებერვალს გახსნიან



მეუფე იაკობის თქმით, საფლავის გახსნა დაგეგმილია მომავალი კვირის ბოლოს, სავარაუდოდ — შაბათს. მეუფე იაკობის განცხადებით, ყველა იმ ადამიანს, ვისაც უნდა მიახლოება მამა გაბრიელის წმინდა ნაწილებთან, შეეძლება, მივიდეს და მიიღოს ლოცვა-კურთხევა. მისივე თქმით, ძალიან ბევრი ხალხი იქნება, ამიტომ მომლოცველებს ხელი რომ არ შეეშალოთ, გარკვეული ტერიტორია გადაკეტილი იქნება და ფეხით მისვლა მოუწევთ.

მისივე თქმით, მამა გაბრიელის საფლავის გახსნასთან დაკავშირებით, დანარჩენი დეტალები ცნობილი პატრიარქის თბილისში დაბრუნების შემდეგ გახდება. უწმინდესი რეგიონიდან დედაქალაქში სამშაბათს დაბრუნდება.

*„ინტერპრესნიუსი“*

# პატარკაციშვილის ოჯახი პრემიერ ღარიბაშვილს აშანტაჟებს?!



## ინა გუდავაძე პოლიტიკაში მოდის — განსვენებული ბიზნესმენის მეგობრის სკანდალური ინტერვიუ

რუსუდან შელია
557-100-768

**13 თებერვალს, ცნობილი ბიზნესმენისა და ქველმოქმედის, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ექვსი წელი გავიდა. „ვერსიის" ინფორმაციით, განსვენებულის მოსაგონარ საღამოზე, აქტიური მოქალაქე ბიძინა ივანიშვილი არ იმყოფებოდა, სამაგიეროდ, მოწვეულ სტუმართა შორის ლევან გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავა აღმოჩნდნენ. რატომ დაუპირისპირდა პატარკაციშვილების ოჯახი ბიძინა ივანიშვილს, ვის ამზადებენ თბილისის მერობის კანდიდატად და რა მიზნით აშანტაჟებს ინა გუდავაძის პარტნიორი ირაკლი ღარიბაშვილს?— „ვერსიას" ბადრი პატარკაციშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ვალერი გელბახიანი ესაუბრა, რომელიც განსვენებულის ოჯახისგან სახელფასო ანაზღაურებას ითხოვს.**

— 13 თებერვალს შტაბის წევრები შევიკრიბეთ და ბადრი პატარკაციშვილი კიდევ ერთხელ მოვიგონეთ. სამწუხაროდ, გარდაცვლილის ოჯახთან კონტაქტი არ გვაქვს. არადა, მათთან კომუნიკაცია არაერთხელ ვცადე — საზღვარგარეთ ყოფნისას წერილები გავუგზავნე, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ადამიანები, რომლებსაც ბადრის სიცოცხლეში ჩემი პიროვნების მიმართ უკმაყოფილება არასოდეს გამოუხატავთ, მისი გარდაცვალების შემდეგ, საოცრად აგრესიულები გახდნენ.

— **ბადრი პატარკაციშვილის მეგობარი იყავით, თუმცა, რამდენიმე დღის წინ, მის შტაბში გაწეული სამუშაოსთვის სახელფასო დავალიანების დაფარვა მოითხოვეთ. არ ფიქრობთ, რომ გარდაცვლილისგან ფულის მოთხოვნა ამორალურია და თქვენი ქმედება პატარკაციშვილის ოჯახის წევრებშიც აგრესიას ობიექტურად იწვევს?**

— სანამ თავად ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრების ამორალურ ქმედებებზე ვისაუბრებ, ჩემს მოთხოვნას დავასაბუთებ: ჯერ კიდევ 2007 წელს, დეკემბერში, შტაბის წევრებისა და აქტივისტების სახელფასო ანაზღაურებისთვის „სტანდარტ ბანკში" ბადრი პატარკაციშვილის ანგარიშიდან 8 მილიონი ჩაირიცხა. 2008 წლის არჩევნებში 40 ათასზე მეტი აქტივისტი გვყავდა და საქართველოს მასშტაბით ყველა საარჩევნო უჯრედს ვფარავდით. აქტივისტების მესამედი საარჩევნო კომისიებშიც დარეგისტრირებული იყო და პატარკაციშვილის სასარგებლოდ საკმაოდ აქტიურად მუშაობდნენ. მახსოვს, მაშინ ბადრის ვუთხარი, პატარკაციშვილის ნაცვლად, ნათელაშვილი რომ იყო, არჩევნები ბევრად ნაკლები დაგიჯდებოდა, მაგრამ ახლა შენგან ყველა ფულს ელის და ხალხიც დიდი რაოდენობით მოვა-მეთქი. ასე რომ, ოფშორული ანგარიშიდან ბადრიმ აქტივისტებისთვის თანხა ბანკში გადარიცხა, თუმცა, მეორე დღესვე, პროკურატურამ ყადაღა დაადო და ფულიც მიზნობრივად ვერ განაწილდა. ბადრის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის წევრებმა აქტივისტებს უთხრეს, როცა სასამართლო პროცესები დასრულდება, ვალს დაგიფარავთო.

— **სანამ ფულს საჯაროდ მოითხოვდით, ამ საკითხზე განსვენებულის ოჯახის წევრებთან არ გისაუბრიათ?**

— ვადასტურებ, ასეთი საუბარი ჩვენ შორის შედგა — როცა საქართველოში დავბრუნდი, ბადრი პატარკაციშვილის დედას შევხვდი. საკმაოდ გულისხმიერი ქალბატონია და პირდაპირ ვუთხარი, ნუ მიგვიყვან იქამდე, რომ მორალურ ფარგლებს გავცდეთ, ყველა პრობლემა დახურულ რეჟიმში მოვაგვაროთ, აქტივისტების სიას მოგაწვდით, რომელთანაც შეხება არ მაქვს და ეს ხალხი იქნებ დააკმაყოფილოთ, თორემ შტაბის ხელმძღვანელებს გვაწუხებენ და საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ვართ-მეთქი... აქტივისტები, განსაკუთრებით, აგრესიულები მას შემდეგ გახდნენ, რაც შეიტყვეს, რომ მათი ხელფასისთვის დარიცხული 8 მილიონი ლარი პატარკაციშვილების ოჯახმა პირადი მიზნებისთვის გამოიყენა. აქ საქმე მხოლოდ ფულში არაა... უამრავი ადამიანი ბადრის ინტერესების დაცვას შეეწირა. მაგალითად, მცხეთაში მამა-შვილი ერთ დღეს გარდაიცვალა. შტაბის აქტიური მხარდამჭერი მამაკაცი პროკურატურაში წაიყვანეს და ბადრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას სთხოვდნენ, მაგრამ უარი რომ თქვა, აწამეს და ცემის დროს შემოაკვდათ; შემდეგ მის შვილს დაუძახეს და როცა მამამისი გარდაცვლილი ანახეს, მასაც გული გაუსკდა. ერთ დღეში ოჯახი სრულიად განადგურდა, მაგრამ მათ პანაშვიდზე ყვავილიც კი არავის მიუტანია. როცა ამ ტრაგედიის შესახებ ბადრის ოჯახს შევატყობინეთ, ერთ-ერთმა მათგანმა დამცინავად გვითხრა, ერთი ტომარა ფქვილი მიუტანეთო... 40-მდე ადამიანი დააპატიმრეს, რამდენიმე ასეულს კი ქონება წაართვეს. დეპუტატი გურგენ ცანავა პროკურატურაში იმდენჯერ დაიბარეს, გულის შეტევით გარდაიცვალა. უამრავმა ადამიანმა კი თავს გაქცევით უშველა. სწორედ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, ბადრის ოჯახის წევრებმა, თურმე, წარმოუდგენელი სიხარბე გამოიჩინეს და პირადი ფინანსური ინტერესების დასაცავად მაშინდელ ხელისუფლებასთან გარიგდნენ. ასე რომ, ეს ადამიანები მორალზე ნუ დაგველაპარაკებიან. პირველ რიგში, მათ დაივიწყეს ბადრი და მისი სახელით სპეკულაცია დაიწყეს. მაშინდელ მმართველ გუნდთან დადებული ხელშეკრულებაც სწორედ ამას მოწმობს.

— **ბატონო ვალერი, ხელშეკრულების დადება იმ პირობებში იქნებ, ერთადერთი გამოსავალი იყო ან პატარკაციშვილების ოჯახის წევრები ნაციონალური მოძრაობის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები არავის დაუშინებია — მათ დოკუმენტს ხელი ლონდონში მოაწერეს. მეტიც, „იმედთან" დაკავშირებით ყველაფერი ასე მოხდა: მაშინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ტელეკომპანია ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნოდა, თუმცა ტერიტორია, რომელზეც შენობა-ნაგებობებია განთავსებული, გარდაცვლილის მეგობრის, ჯაოშვილის კომპანიის საკუთრება იყო. როცა ტელევიზიის წინააღმდეგ მაშინდელმა ხელისუფლებამ ძალადობა დაიწყო, ჯაოშვილმა საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მინდობილობა ინა გუდავაძეს გადასცა — ჩემი სახელით, ბადრის ინტერესები ლონდონისა და პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში დაიცავითო. ინა გუდავაძემ კი, ჯაოშვილის მინდობილობის საფუძველზე, ხელისუფლებას „იმედის" გადაფორმება მოსთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო. დოკუმენტში, ასევე, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ყველა სასამართლო დავა, რომელიც ბადრი პატარკაციშვილის სახელს უკავშირდებოდა, ოჯახის სასარგებლოდ გადაწყდებოდა ანუ მაშინდელმა მთავრობამ ინა გუდავაძეს ღიად უთხრა, მე ვარ სასამართლოცა და სახელმწიფოცო. მან კი, იუსტიციის მინისტრის ყოფილ მოადგილე თინათინ ბურჯალიანთან ერთად, დოკუმენტს ხელი ყოველგვარი პროტესტის გარეშე მოაწერა. არადა, გუდავაძეს ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ადვოკატი ვოლ სმიტი იცავს, რომელსაც მილიონებს უხდის. მეტიც, აღნიშნული დოკუმენტის გასაჯაროების შემთხვევაში, გუდავაძემ ვალდებულება აიღო, ტყუილს იტყვის და განაცხადებს, რომ დოკუმენტის შესახებ არაფერი სმენია.

— **თუმცა, პატარკაციშვილის ოჯახმა თავად მოითხოვა, დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო" მოხსნოდა...**

— ფაქტია, პატარკაციშვილის ოჯახმა ბადრის ღირსება მიაჩუმათა. კერძოდ, დოკუმენტის მიხედვით, მაშინდელმა ხელისუფლებამ ვალდებულება აიღო, პატარკაციშვილის საქმეზე სისხლის სამართლის დევნას შეწყვეტდა. ხელშეკრულებაში ისიცაა ნათქვამი, რომ თუ დოკუმენტში მითითებული რომელიმე პირობა არ შესრულდებოდა, მისი გასაჩივრების უფლება ინა გუდავაძეს ორი კვირის განმავლობაში, პარიზის საარბიტრაჟო სასამართლოში შეეძლო. ორი კვირაც გავიდა და ექვსი წელიც, ბადრის კი დღემდე დამნაშავის სტატუსი აქვს. მის ოჯახს არაფერი გაუსაჩივრებია. ის 400 მილიონი კი, რომლის კომპენსირების ვალდებულება წინა ხელისუფლებამ აიღო, „ქართული ოცნების" გადასახდელია. ისე, დღემდე მაინტერესებს, რატომ აიღო 400 მილიონის გადახდის ვალდებულება სახელმწიფომ, როცა დაზარალებული ქონების ღირებულება 100 მილიონ ლარს შეადგენს?!

— **ამ ხელშეკრულების გასაჯაროებას რით ხსნით, ივანიშვილი პატარკაციშვილების ოჯახს დაუპირისპირდა?**

— ბადრის ოჯახი ბიძინა ივანიშვილთან, დიდი ხანია, არ მეგობრობს. მეტიც, ინა გუდავაძის პარტნიორი ირაკლი რუხაძე პრემიერ-მინისტრთან მივიდა და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მათ მფლობელობაში გადაცემა მოსთხოვა. ჩემი ინფორმაციით, მან ღარიბაშვილის დაშანტაჟებაც სცადა — თუ ქარხანა არ დაგვიბრუნდება, პარიზის სასამართლოში 400 მილიონი ლარის კომპენსაციაც მოვითხოვთო.

— **ეს მუქარა დღემდე ძალაშია?**

— ვერ გეტყვით, თუმცა დაპირისპირებაზე ისიც მიანიშნებს, რომ ბიძინა ივანიშვილის საინვესტიციო ფონდიდან განსვენებულის ოჯახის წევრები მალევე გამოვიდნენ. მათი გადაწყვეტილება სწორედ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას უკავშირდებოდა. ულტიმატუმი, შანტაჟი, გაუგებარი პრეტენზიები — ეს ამ ადამიანების ტექნოლოგიაა, ყველაფრის უკან კი ოჯახის მრჩეველი გია ხუხაშვილი დგას!

— **მეტალურგიულ ქარხანაზე შეუთანხმებლობის გამო დაუპირისპირდა ტელეკომპანია „იმედი" ივანიშვილს?**

— ბადრის ოჯახს დიდი ხანია, „იმედის" გაყიდვა უნდა, თუმცა მრჩევლების დამსახურებით, ტელეკომპანია ჯერ კიდევ მათ საკუთრებაშია. კარგად იციან, რომ „იმედი" ხელისუფლების წინააღმდეგ სერიოზული ინსტრუმენტია, რაც ამ ტელეკომპანიამ ბადრის სიცოცხლეშიც დაამტკიცა. კულუარული ინფორმაციით, ინა გუდავაძე, არაპირდაპირი ფორმით, პოლიტიკურ პროცესში ჩასართავად ემზადება.

— **ესეც ხუხაშვილის ინიციატივაა?**

— რა თქმა უნდა — ხუხაშვილი ინა გუდავაძეს, როგორც თბილისში, ისე ლონდონში არაერთხელ შეხვდა. იქმნება ჯგუფი, რომელიც ლევან გაჩეჩილაძეს თბილისის არჩევნებში მერობის ერთ-ერთ კანდიდატად ამზადებს. მის პიარს კი ტელეკომპანია „იმედი" მოემსახურება, შესაბამისად, ტელევიზია ხელისუფლების კრიტიკას უფრო გააძლიერებს. სამწუხაროდ, ბადრის საყვარელი ტელეკომპანია ამჟამინდელ მფლობელებს ჩიხში შეჰყავთ, პოლიტიკურ მხარედ აყალიბებენ და ეს „იმედს" უკვე დაეტყო.

## ვერსიანიუსი

### ანდერს ბრეივიკი საკანში ვიდეოთამაშების თანამედროვე ვერსიის შეტანას მოითხოვს



ნორვეგიელი ტერორისტი ანდერს ბრეივიკი შიმშილობის დაწყებით იმუქრება, თუ საკანში ვიდეოთამაშებს არ შეუტანენ. გავრცელებული ინფორმაციით, ბრეივიკმა ციხის ხელმძღვანელობას წერილობით მიმართა, სადაც ჩამოთვლილ მოთხოვნათა შორისაა, სათამაშო მოწყობილობა Playstation 2 უფრო თანამედროვე Playstation 3-ით შეუცვალონ. ამასთან, ბრეივიკი უკმაყოფილებას გამოთქვამს ციხეში მისთვის შექმნილი პირობებით, რასაც წამებას უწოდებს.

**„ჯოჯოხეთში მამყოფებთ და ასეთ პირობებში დიდხანს ვერ გავძლებ. თქვენ მე მკლავთ. შიმშილობას არ შევწყვეტ, ვიდრე ნორვეგიის იუსტიციის მინისტრი ანდერს ანუნდსენი და პენიტენციური საქმეების ხელმძღვანელი არ შეწყვეტენ ცხოველივით მოპყრობას",** — წერს ბრეივიკი წერილში.

2011 წლის 22 ივლისს ანდერს ბრეივიკმა აფეთქება მოაწყო ოსლოს სამთავრობო კვარტალში, რასაც რვა ადამიანი ემსხვერპლა. იმავე დღეს მან კუნძულ უტოიაზე ახალგაზრდების ბანაკში 69 ადამიანი მოკლა, მათ შორის იყო ქართველი სტუდენტი თამთა ლიპარტელიანი. ანდერს ბრეივიკს სასამართლომ 21 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

*„ინტერპრესნიუსი"*



„ვამტკიცებ“
შპს „რეალ სილუეტი“ს
დირექტორი
ქ. ორბელაძე

„ვამტკიცებ“
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე
დ. ცხადაძე

მიღება-ჩაბარების აქტი №407/1

ქ. თბილისი „22“ 01 10 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთი მხრივ კულტურული ღონისძიებების დეპარტამენტის დირექტორი მ. ბერიძე, ღონისძიებების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ნ. პატარიძე და მეორე მხრივ შპს „რეალ სილუეტი“ს წარმომადგენელი თ. მარგიანი ვადასტურებთ, რომ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა („დამკვეთი“) და შპს „რეალ სილუეტ“ს („შემსრულებელი“) შორის დაიდო ხელშეკრულება №407 25.12.09წ. რომლის ფარგლებშიც „შემსრულებელმა“ უზრუნველყო 2009წლის 31დეკემბერს 2010წლის 1,2 იანვარს ბათუმში ეკრანებით მომსახურება. „შემსრულებელმა“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შეასრულა.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

მ. ბერიძე

ნ. პატარიძე

00000152

# ნიკოლოზ მჟავანაძე: „გურამ ოდიშარიას უწყებას კორუფციის სუნი ასდის!“



## დოკუმენტები, რომელთა გამოც, მარინა ბერიძე, სტეფანე, კახა ცისკარიძე ზუმბა და სოფო ნიჟარაძე, შეიძლება, დაკითხვაზე დაიბარონ



გიორგი გიორგაძე

**უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე „ვერსიას“ სკანდალურ დოკუმენტებს აწვდის. პარალელურად, ფინანსურ პოლიციასა და სხვა საგამოძიებო უწყებებს მოუწოდებს, კულტურის სამინისტროს საქმიანობით დაინტერესდნენ. მჟავანაძის თქმით, სააკაშვილისდროინდელი სქემა, რომელსაც კორუფციის სუნი ასდის, გურამ ოდიშარიას მინისტრობის დროსაც წარმატებით მუშაობს. მჟავანაძის ეჭვით, „ფულის შოვნაში“, მარინა ბერიძესთან ერთად, მინისტრის მოადგილე ბადრი გრუზინსკიცაა ჩართული. ნათქვამის საილუსტრაციოდ, წლევანდელი საახალწლო კონცერტიც გამოდგება, რომლის ორგანიზებაშიც, მერიასთან ერთად, კულტურის სამინისტროც მონაწილეობდა და რამდენიმე ათეული ათასი ლარი გაიღო. „ძაღლის თავიც სწორედ აქაა დამარხული — კულტურის სამინისტრომ, როგორც ვიცით, „ალტერვიჟენს“ ანუ აჩიკო გულედანის ორგანიზაციას, რომელმაც წლევანდელი კონცერტი ჩაატარა, მომღერლების ჰონორარებისთვის თანხა გამოუყო“, — აცხადებს მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, „კორუფციულ ნიშნებში“ მაინც, რას გულისხმობთ?**

— ტენდერი არ გამოცხადებულა და, საინტერესოა, „ალტერვიჟენთან“ ხელშეკრულება რის საფუძველზე გაფორმდა ან რატომ არ არსებობს ხარჯთაღრიცხვა? ანალოგიური ხელშეკრულებები, ძირითადად, აჩიკო გულედანთან, კახა ცისკარიძისა და სტეფანე მღებრიშვილის სტუდიებთან ფორმდებოდა.

**— ამ ორგანიზაციებთან ხელშეკრულებებს ვინ აფორმებდა?**

— კულტურის სამინისტრო, კონკრეტულად, მარინა ბერიძე.

**— ანუ ხელშეკრულებებს ხელს, უშუალოდ, მარინა ბერიძე აწერს?**

— არა, ხელშეკრულებებზე მინისტრის მოადგილის ხელმოწერაა, მაგრამ მოლაპარაკებებს კულტურის სამინისტროს ღონისძიებების დეპარტამენტი აწარმოებდა — ხელშეკრულებებს ამზადებდა, ამ დეპარტამენტის ხელმძღვანელი კი დღესაც მარინა ბერიძეა. სხვათა შორის, არსებობს მიღება-ჩაბარების აქტები, მაგრამ ფინანსურმა პოლიციამ ან პროკურატურამ რომ შეამოწმოს, ამას მიღება-ჩაბარების აქტად არ ჩათვლის, რადგან მასში მითითებული არაა შესრულებული სამუშაოს ღირებულება, კონკრეტულად, რაში გაიხარჯა სამინისტროდან გაცემული თანხები, ვინ მიიღო და რა გაკეთდა ამ თანხით და ა.შ. ეს კი არა და, ზოგჯერ თანხები ორ-ორჯერაა გადახდილი, მაგალითად, ხულიო ეგლესიასს ჰონორარი ორჯერ გადაურიცხეს... ბრალმდებელი არ ვარ, მაგრამ ყველაფერ ამას ე.წ. ატკატების სუნი ასდის. აბა, რა ინტერესი ჰქონდათ, ხელშეკრულებას ერთი და იგივე ხალხთან რომ აფორმებდნენ?

წლევანდელი საახალწლო კონცერტისთვის მერიამ „ალტერვიჟენს“ 250 079 ლარი გადაურიცხა. კულტურის სამინისტრომაც სოლიდური თანხა გამოყო, არადა ხელისუფლების უმაღლესი რგოლებიდან ნათქვამი იყო, რომ მსგავსი ტიპის ღონისძიებები კულტურის სამინისტროს არ უნდა დაეფინანსებინა.

**— მარინა ბერიძე აცხადებს, რომ წლევანდელ საახალწლო კონცერტთან კულტურის სამინისტროს კავშირი არ ჰქონია.**

— თუ არ ჰქონია, აბა, მომღერლების ჰონორარი რატომ გადაურიცხეს?

**— ანუ კონცერტში მონაწილე მომღერლები ბერიძემ შეარჩია?**

— მომღერლების შერჩევაში, შეიძლება, არ ჩარეულა, მაგრამ, როცა „ალტერვიჟენთან“ ხელშეკრულებას აფორმებდნენ, უკვე იცოდნენ, ვის უნდა ემღერა... საერთოდ, სახელმწიფომ ცალკეული ღონისძიებები შეიძლება, დააფინანსოს, მაგრამ მილიონებს აქეთ-იქით რომ ისვრი, ამას, სჯობს, თეატრებსა და კულტურის იმ ღვაწლმოსილ ადამიანებს მიხედო, რომლებიც გაჭირვებისგან სულს ღაფავენ და უსახსრობის გამო, ქუჩაში არიან გაყრილნი.

დღეს საქართველოს მთავრობაში ყველაზე ხმაურიანი კულტურის სამინისტროა. პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა წესრიგი ყველა სამინისტროში დაამყარა, მინისტრ გურამ ოდიშარიასა და კულტურის სამინისტროში ჩანერგილი ნაციონალების გამო კი, ხელისუფლების დისკრედიტაცია ხდება. სტალინი ამბობდა, ზოგს ჰგონია, რომ სახელმწიფო ნამცხვარია, რომელიც სურს, ბოლომდე შეჭამოს, მაგრამ იმას ვერ ხვდება, რომ უფლება არ აქვს, ამ ნამცხვარს ხელი ახლოსო. ოდიშარიამ და მისმა მოადგილეებმა სახელმწიფო დოვლათი ხელში ჩაიდგეს და ჰგონიათ, მათი საკუთრებაა. მარინა ბერიძე, რომელიც სააკაშვილს რეჟიმს უმაგრებდა ზურგს, დღესაც ნაციონალებზე მუშაობს და კულტურის სამინისტროს დისკრეტიდაციას ახდენს! შე დალოცვილო, ამ მივლინებებში ამხელა თანხას რომ ხარჯავ, ვინ მოგცა ამის უფლება? ხელისუფლებამ ოდიშარიას განაჩენი უკვე გამოუტანა — მას მალე გაათავისუფლებენ, ოღონდ რამდენიმე ხნის შემდეგ, რაც პოსტებს სხვა მინისტრებიც დატოვებენ. პრემიერს არ უნდა, მინისტრები სათითაოდ გაუშვას, ეს ერთიანად და უმტკივნეულოდ მოხდება.

**„ვერსია“ უკომენტაროდ გთავაზობთ ნიკოლოზ მჟავანაძის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებს, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა თანხებს იღებდნენ 9 წლის განმავლობაში ბიუჯეტიდან სააკაშვილთან დაახლოებული მომღერლები, მსახიობები და კულტურის სხვა მუშაკები.**

### 2011 წელი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შპს „ისთერნ პრომოუშენს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, 2011 წლის 19-24 ივლისს ქ. ბათუმში, „შავი ზღვის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის“ ჩატარებაზე 1 104000 ლარი გამოიყო.

### 2012 წელი

1). შპს „თბს ტვ“-სთან დაიდო ხელშეკრულება მუსიკალური პროექტის — „მე მიყვარს საქართველო“ ორგანიზებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 480 000 ლარი.

2). შპს „არტ ბათუმთან“ დაიდო ხელშეკრულება 2012 წლის სექტემბერში, თბილისსა და ოზურგეთში პროექტის — მიუზიკლ „ვერის უბნის მელოდიების“ განხორციელებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 1 716 985 ლარი.

3). კავშირ „თაგის არტსითან“ დაიდო ხელშეკრულება 21 აგვისტოს ბათუმში ხოაკინ კორტესის წარმოდგენის — CALE გამართვაზე. სახელშეკრულებო თანხა — 550 000 ლარი.

4) შპს „ისთერნ პრომოუშენთან“ დაიდო ხელშეკრულება 2012 წლის 16 აგვისტოს ახალციხეში შარლ აზნაურის კონცერტის ჩატარებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 1 356 800 ლარი.

5) შპს „ისთერნ პრომოუშენთან“ დაიდო ხელშეკრულება — „შავი ზღვის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალის“ ორგანიზება ქ. ბათუმში. მომსახურების საერთო ღირებულება — 460 000 ევროს ექვივალენტი ლარში.

6). ასოციაცია „არტაქტივ ევოლუშენთან“ დაიდო ხელშეკრულება ქ. ფოთში პროექტის — „თანამედროვე არტობიექტი — შემოქმედებითი სივრცე ღია ცის ქვეშ“ განხორციელებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 85 000 ლარი.

7) ფ/პ გია თორთლაძესთან დაიდო ხელშეკრულება პროექტის — „საქართველო ოკუპანტების გარეშე“ ორგანიზებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 350 000 ლარი.

8) შპს „დისფიქჩერსთან“ დაიდო ხელშეკრულება 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში პროექტის — „მეამაყება საქართველო“ განხორციელებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 698 399 ლარი.

9) საერთაშორისო ფონდთან „თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი“ დაიდო ხელშეკრულება ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის აღსანიშნავი საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობაზე. სახელშეკრულებო თანხა — 310 000 ლარი.

### 2013 წელი

1). შპს „ისთერნ პრომოუშენთან“ დაიდო ხელშეკრულება 2011 წლის 3 ივლისს ქ. ბათუმში კრის ბოტისა და სტინგის კონცერტის ორგანიზებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 750 000 დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში

2.) შპს სარეკლამო კომპანია „საყვირთან“ დაიდო ხელშეკრულება ბათუმის საიმიჯო მუსიკალური ვიდეორგოლის — „ზესამე მუჩო“ დამზადების თაობაზე. სახელშეკრულებო თანხა — 56 000 ლარი.

3). შპს „ბიზნესპროტოკოლი პლუსთან“ დაიდო ხელშეკრულება საოპერო სპექტაკლის — „ქეთო და კოტე“ თბილისში, რუსთაველის თეატრში ოცჯერ ჩვენებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 559 015.43 ლარი.

4). შპს M.A.N. Projeqt Architeqture-თან დაიდო ხელშეკრულება კახეთის რეგიონის ღირშესანიშნავი ადგილების პოპულარიზაციის მიზნით მუსიკალური კლიპის გადაღებაზე (საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №30/09/04 2011 წლის 30 სექტემბერი). სახელშეკრულებო თანხა — 121 089 ლარი.

დასასრული მე-5 გვერდზე



# კორუფციული სამკუთხედი — რა კავშირი აქვთ რუსთაველ ნაციონალებსა და „ოცნებელებს" „ყვითელი მარშუტკების" ბიზნესთან

გიორგი იაშვილი

**საქართველოს მასშტაბით, ყველა რაიონისა თუ ქალაქის საკრებულოში დაძაბულობაა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ნაციონალური მოძრაობის ის წევრები, რომლებმაც იციან, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში ბოლო დღეებს ითვლიან, მაქსიმალურად ცდილობენ, ბოლო მსუყე ლუკმა წაგლიჯონ აქეთ ბიუჯეტს და იქით მოსახლეობას. მეტიც ამ თვეში, მარტსა და აპრილში არაერთი ისეთი რამ იგეგმება, რის გამოსწორებასაც, სავარაუდოდ, წლები დასჭირდება. გამონაკლისი არც რუსთავია და, დიდი ალბათობით, მეტალურგთა ქალაქი მალე უპრეცედენტო გაფიცვის მომსწრე გახდება.**

როგორც გაირკვა, რუსთავის საკრებულო და მერია ტენდერის გამოცხადებას აპირებენ — დეტალები უკვე დაზუსტებულია და ტენდერი, სავარაუდოდ, თვის ბოლომდე გაიმართება. საჯილდაო ქვად რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზია. რუსთავიდან დედაქალაქში, ამ ეტაპზე, 400-ზე მეტი სამარშრუტო ტაქსი მოძრაობს და მათი ჩანაცვლება ე.წ. ყვითელი მარშუტკებით იგეგმება.

**„ქალაქის მაჟორიტარ დეპუტატთან, ზვიად ძიძიგურთანაც ვიყავით და სავარაუდოდ, მას კიდევ შევხვდებით. ჯერჯერობით ვერც ის გვეხმარება. გვინდა ყველას შევახსენოთ, რომ ჩვენ ის მძღოლები ვართ, რომლებმაც 2012 წელს „ქართული ოცნების" აქტივისტებს ქალაქიდან ქალაქში მხოლოდ საწვავის ფასად დავატარებდით. ის მძღოლები ვართ, რომლებსაც ნაციონალური მოძრაობის წევრები მანქანებს ართმევდნენ, საჯარიმო სადგომზე გადაჰყავდათ, ავზს ქვიშით გვივსებდნენ და მერე, მანქანის გაკეთება და ძრავის შეცვლა ათას დოლარზე მეტი ჯდებოდა. ახლა აღარ ვჭირდებით? ისევ ნაციონალური მოძრაობა გვებრძვის. ისევ ისინი ცდილობენ, ჩვენზე შური იძიონ და ტენდერს ატარებენ. ჩვენ ტენდერის არ გვეშინია, ამისთვის მზად ვიყავით და ამიტომ ყველამ გავიჭირვეთ, ბინები ბანკებში ჩავდეთ და ე.წ. სპრინტერები შევიძინეთ. კომფორტით ეს მანქანები მსოფლიოში საუკეთესოა და რაც მთავარია, იმ ყვითელ „მარშუტკებს" ათი თავით სჯობს. რომ მიხვდნენ, ტენდერში გავიმარჯვებდით, სატენდერო პირობები შეცვალეს და ჩაწერეს, რომ ხაზზე გასული სამარშრუტო ტაქსი, მინიმუმ, 2012 წელს უნდა იყოს გამოშვებული. ჩვენს მიერ ნაყიდი „სპრინტერები" კი ძირითადად 2006-2007 წლებშია გამოშვებული. ამის მიუხედავად, კატეგორიულად მოვითხოვთ, ნებისმიერმა კომისიამ შეამოწმოს და, თუ ვინმე იტყვის, რომ ჩვენი მანქანები ყვითელ სამარშრუტო ტაქსებს ორჯერ და სამჯერ არ სჯობია, გავჩუმდებით... თუ, მაინცდამაინც, წლოვანებაა ავტომობილის განმსაზღვრელი, მოგვცენ გონივრული, 2-3-თვიანი ვადა, ამ მანქანებს გავყიდით და ახლებს ვიყიდით. ერთი დღე გამოვიდნენ ყვითელი „მარშუტკები" და იმუშავეს. ისინი 16-ადგილიანია, რაც ნიშნავს, რომ მგზავრობის ღირებულება, რომელიც ახლა 1.30 თეთრია, უნდა გაიზარდოს და 2 ლარი გახდეს. მთელი სტუდენტობა ჩვენ დაგვყავს, მათ ჯიბეს ეს მწარედ დაარტყამს და აქციაზე ისინიც ჩვენთან ერთად დადგებიან. 400 „მარშუტკის" უკან 400 ოჯახი დგას, ჩვენ დასაკარგი არაფერი გვაქვს, ოჯახებთან ერთად შიმშილობას დავიწყებთ და პასუხს მოვითხოვთ, ასე რატომ გვექცევიან?!"** — ამბობენ მძღოლები.

რუსთავის მერია, ამ საკითხთან დაკავშირებით, დუმს და მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ ტენდერი აუცილებლად ჩატარდება და რომელი კომპანიაც გაიმარჯვებს, ხალხსაც ის ატარებს. მერია კატეგორიულად უარყოფს მგზავრობის საფასურის მოსალოდნელ გაძვირებას, თუმცა „ვერსიამ" მოიპოვა სატენდერო პირობების ასლი, სადაც გარკვევით წერია, რომ თუ გამარჯვებული კომპანია მოინდომებს ფასის გაზრდას, ეს მგზავრებს ერთი თვით ადრე უნდა ამცნოს, რის შემდეგაც უფლება ექნება, ფასი საკუთარი შეხედულებისამებრ დაარეგულიროს.

ამჟამად, მოძრავი სამარშრუტო ტაქსები 24-ადგილიანია და, როგორც მძღოლები ამბობენ, თითო რეისიდან, მაქსიმუმ, 10 ლარი რჩებათ. ყვითელი სამარშრუტო ტაქსები კი 16-ადგილიანია ანუ ზუსტად იმდენი, რამდენიც საწვავის ხარჯსა და მანქანის ნაწილების ცვეთას ესაჭიროება. იმაზე ფიქრი, რომ გამარჯვებული კომპანია ხალხზე ზრუნვაში დაალამებს და, პრაქტიკულად, მოგების გარეშე იმუშავებს, სისულელეა. ესე იგი, მგზავრობა ყველა ვარიანტში გაძვირდება.

და კიდევ ერთი: სამარშრუტო ტაქსების მძღოლები ღიად აფიქსირებენ, რომ უახლოეს მომავალში, დოკუმენტურად დაამტკიცებენ, ნაციონალური მოძრაობის რომელი წევრები დგანან ამ ტენდერის უკან და რა გარიგებაში არიან ყვითელი სამარშრუტო ტაქსების შემომყვან კომპანიასთან. ნაციონალური მოძრაობის წევრების გარდა, ანალოგიური ინფორმაცია მძღოლებს „ქართული ოცნების" რამდენიმე წარმომადგენელზეც აქვთ და მათი გვარების დასახელებასაც აპირებენ. მძღოლების თქმითვე, რუსთავი-თბილისის სამარშრუტო ხაზს საქალაქთაშორისო სტატუსი ჩამოერთვა და შიდასაქალაქო მარშრუტად გაფორმდა, რაც ყვითელი სამარშრუტო ტაქსების შემოყვანას გააიოლებს. მძღოლებს აინტერესებთ, რის საფუძველზე მოხდა რუსთავი-თბილისის ხაზის შიდასაქალაქო ხაზად დარეგისტრირება.

სკანდალი

# დოკუმენტები, რომელთა გამოც, მარინა ბერიძე, სტეფანე, კახა ცისკარიძე, ზუმბა და სოფო ნიჟარაძე, შეიძლება, დაკითხვაზე დაიბარონ

*მე-4 გვერდიდან*

### აჩიკო გულედანთან, „ალტერვიჟენ გრუპსა" და „სტეპ რეკორდსთან" გაფორმებული ხელშეკრულებები

1). საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შპს „ალთერვიჟენ გრუპს" შორის დაიდო ხელშეკრულება საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის — თბილისი Open Air AlterVizion ჩატარებაზე.

სახელშეკრულებო თანხა — 30 613 ლარი.

2). შპს „სტეპ-რეკორდს ლეიბლთან" დაიდო ხელშეკრულება „თბილისი Open Air AlterVision" — საერთაშორისო ფესტივალის ორგანიზებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 2 093 935 ლარი.

3). შპს „სტეპ-რეკორდს სტუდიოსთან" დაიდო ხელშეკრულება თბილისში, საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის — „თბილისი Open Air AlterVision"-ის ჩატარებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 500 000 ლარი.

4). შპს „სტეპ-რეკორდს სტუდიოსთან" დაიდო ხელშეკრულება ქ. ბათუმში, ჯაზფესტივალის განმავლობაში, ბულვარის ტერიტორიაზე მუსიკალური წარმოდგენების ჩატარებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 15 316 ლარი.

5) Altrevision Design-თან დაიდო ხელშეკრულება პროექტის — „ეპოქალური მუსიკოსების" განხორციელებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 35 000 ლარი.

6). შპს „სტეპ-რეკორდს სტუდიოსთან" დაიდო ხელშეკრულება 2012 წლის 24-25 აგვისტოს, სვანეთში ფესტივალის — „სვანეთი" ჩატარებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 5 000 ლარი.

### „არტ ფორუმთან" (სტეფანე მღებრიშვილი და კახა ცისკარიძე) გაფორმებული ხელშეკრულებები

1) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ფიზიკურ პირს, სტეფანე მღებრიშვილს შორის დაიდო ხელშეკრულება 2011 წლის 2 აგვისტოს, ქალაქ ბათუმში კონცერტ MTV Georgia Live-ში ჯგუფ „სტეფანე და 3G"-ს მონაწილეობაზე. სახელშეკრულებო თანხა — 25 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი.

2) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ფიზიკურ პირ სერგო სულაძეს შორის დაიდო ხელშეკრულება 2011 წლის 2 აგვისტოს, ქალაქ ბათუმში კონცერტ MTV Georgia Live-ში ჯგუფ „ელდრაინის" მონაწილეობაზე. სახელშეკრულებო თანხა — 12 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

3) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შპს „არტფორუმს" შორის დაიდო ხელშეკრულება 2012 წლის 13 სექტემბერს, ბალკანელი კომპოზიტორის, გორან ბრეგოვიჩის კონცერტის ორგანიზებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 179 223.39 ლარი.

4) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შპს „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპს" შორის დაიდო ხელშეკრულება 2011 წელს საქართველოში გასამართი MTV Georgia Live-ის დაფინანსებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე. ხელშეკრულებით, „მედია გრუპი" ვალდებულია, უზრუნველყოს 2011 წელს საქართველოში გასამართი „`MTV Georgia Live"-ის დაფინანსებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ: MTV Georgia Live-ის დაფინანსების მიზნით, სპონსორების მოძიება და 2 776 471 აშშ დოლარის მობილიზება, საიდანაც MTV Networks Europe-ის ანგარიშზე გადაირიცხება 2 000 000 აშშ დოლარი 2011 წლის 31 იანვრამდე.

ხოლო 776 471 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარით დაიფარება აღნიშნული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებები.

სამინისტრო, თავის მხრივ, იღებს ვალდებულებას, „მედია გრუპს" მიაწოდოს ამ ოპერაციასთან დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

### დავით ევგენიძის კონცერტი

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსა და შპს „არტფორუმს" შორის დაიდო ხელშეკრულება 2010 წლის 2 იანვარს, ქ. ბათუმში დათო ევგენიძის კონცერტის ორგანიზებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 115 956 ლარი და 24 თეთრი.

### ზუმბა და „არტ გენი"

1) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ფ.პ ზაზა კორინთელს შორის დაიდო ხელშეკრულება 2011 წლის 11 აგვისტოდან 6 სექტემბრის ჩათვლით, ქ. ვილნიუსსა და ქ. კლაიპედაში ჯგუფი „ზუმბალენდის'' მგზავრობის ხარჯის ანაზღაურებაზე 13 750 ლარის გამოყოფის თაობაზე.

2) შპს „გლობალ არტთან" დაიდო ხელშეკრულება 2012 წლის 24 თებერვლიდან ჯგუფის — „ზუმბალენდი" პოლონეთსა და უკრაინაში საგასტროლო ტურნეს უზრუნველყოფისთვის 7 000 ლარის გამოყოფაზე.

3) დაიდო ხელშეკრულება ზაზა კორინთელთან 2009 წლის 31 ოქტომბერს სოფელ მირზააანში ტრადიციულ დღესასწაულ „ფიროსმანობაში" მონაწილეობაზე. სახელშეკრულებო თანხა — 5 300 ლარი.

4) ააიპ „წამისთან" (პრეზიდენტი ზაზა კორინთელი) დაიდო ხელშეკრულება 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიების გამართვაზე. სახელშეკრულებო თანხა — 9 200 ლარი.

5) შპს „არტ-ფაქტორ-თან" (დირექტორი ზაზა კორინთელი) დაიდო ხელშეკრულება ჯგუფ „ბერმუხას" საიუბილეო საღამოს გამართვაზე. სახელშეკრულებო თანხა — 4 000 ლარი.

6) ზაზა კორინთელთან დაიდო ხელშეკრულება 2009 წლის 10 ოქტომბერს სოფელ რუსთავში სახალხო დღესასწაულ შოთაობაში მონაწილეობაზე. სახელშეკრულებო თანხა — 6 500 ლარი.

7) დაიდო ხელშეკრულება 2012 წლის 19 აგვისტოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში, სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით ჯგუფ „ზუმბალენდის" კონცერტის ჩატარებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 10 000 ლარი.

8) დაიდო ხელშეკრულება 2011 წლის 3 სექტემბერს, მესტიაში საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალ „სვანეთის" ჩატარებაზე. სახელშეკრულებო თანხა — 5 000 ლარი.

9) 2012 წლის 1-29 ივლისს, ფესტივალ „არტ გენის" ჩატარებაზე გამოიყო 199 313 ლარი.

10).2012 წელს ფესტივალ „არტ გენის" ჩატარებაზე გამოიყო 30 000 ლარი.

### 2009 წლის საახალწლო კონცერტის თანხები და სოფო ნიჟარაძის კლიპები

1) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ ბათუმში, ახალი წლის სადღესასწაულო ღონისძიების ორგანიზებაზე გამოყო 1 300 000 ლარი.

2) 2009 წლის 31 დეკემბერს, 2010 წლის 1 და 2 იანვარს ქ. ბათუმში, საახალწლო ღონისძიებებთან დაკავშირებით, ეკრანების მონტაჟსა და მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებით, გამოიყო 94 996 ლარი და 62 თეთრი.

3) საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და შპს „საყვირს" შორის დაიდო შემდეგი ხელშეკრულებები: ქალაქ ქუთაისის საიმიჯო ვიდეორგოლის დამზადებაზე, სიმღერა „თეთრი ვარდების" შემსრულებელი სოფო ნიჟარაძე. სახელშეკრულებო თანხა — 114 815 ლარი.

კურორტ ანაკლიის საიმიჯო მუსიკალური ვიდეოკლიპის გადაღება-დამზადებაზე, შემსრულებელი სოფო ნიჟარაძე. სახელშეკრულებო თანხა — 129 900 ლარი.

# „სოფელში ხმა დადის, თემურ ფეიქრიშვილი ნაციონალებიდან „ოცნებაში“ გადაბარგდა და ზვიად ძიძიგურს სახლს უშენებსო...“




ახალი სკანდალი — „წავკისელ ფეოდალად“ შერაცხულ დეპუტატს მიწების უკანონოდ მითვისებაში ტაბახმელელებიც ამხელენ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

**სოფელ ტაბახმელას მკვიდრი ტარიელ კარაპეტიანი 1992-1998 წლებში, მიწის რეფორმის შედეგად, საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის დაბრუნებას ითხოვს, რომელიც სოფლისა და რაიონის გამგებლებმა უკანონოდ წაართვეს და სხვა პიროვნებებზე გაასხვისეს. ტარიელ კარაპეტიანის ადვოკატმა, ზაურ თვალიაშვილმა საქართველოს მთავარ პროკურორს გიორგი ბადაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრს ალექსანდრე ჭიკაიძესა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას საჩივრით უკვე მიმართა. ადვოკატის განცხადებით, ტარიელ კარაპეტიანის საქმე იმ მრავალთაგან ერთ-ერთია, რომელიც ტაბახმელას მიწების უკანონო გასხვისებას ეხება და, რომელზეც სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. ადვოკატი ზაურ თვალიაშვილი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადებს, რომ ტარიელ კარაპეტიანის საქმე ხუთი თვეა პროკურატურაშია, მაგრამ გამოძიება ხელოვნურად ჭიანურდებოდა, ამიტომ ადვოკატი შს მინისტრის, მთავარი პროკურორისა და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარისგან ითხოვს, ტარიელ კარაპეტიანის საქმეს გამომძიებლები — პაატა ხაინდრავა და პაატა გაგნიძე ჩამოაშორონ.**

**— ბატონო ზაურ, ტარიელ კარაპეტიანის საქმიდან ორი გამომძიებლის ჩამოცილებას რატომ ითხოვთ?**

— იმიტომ, რომ ისინი დაინტერესებული პირები არიან. 2014 წლის 6 თებერვალს დავურეკე გამომძიებელ პაატა ხაინდრავას, რომელმაც მეორე დღეს, ტაბახმელას პოლიციის განყოფილებაში დამიბარა, იქ კი, მეორე გამომძიებელმა, გაგნიძემ გამომიცხადა — კარაპეტიანმა დაწეროს განცხადება და კუთვნილი მიწის ნაკვეთი დაიკანონოსო. 1992-1998 წლებში ჩატარებული მიწის რეფორმის შედეგად, ტარიელ კარაპეტიანისა და, ზოგადად, ტაბახლემაში მცხოვრები თითოეული კომლის საკუთრებაში 6 000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი უნდა იყოს. მამის, ზაქარია კარაპეტიანის გარდაცვალების შემდეგ, ტარიელ კარაპეტიანმა გადაწყვიტა, კუთვნილი მიწის ნაკვეთი თავის სახელზე გადაეფორმებინა, რად დროსაც აღმოაჩინა, რომ 3 000 კვ.მ. და 1 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთები ტაბახმელას ყოფილმა გამგებელმა, რომელიც ახლა პარლამენტის წევრია, თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილმა, ასევე მიწის განაწილების კომისიის თავმჯდომარემ, გია იაშალაშვილმა და მიწათმომწყობმა გიორგი მაღრაძემ უკანონოდ მიყიდეს ვიქტორია გუჯეჯიანს, ამ უკანასკნელმა კი მიწის ნაკვეთი მოქალაქე ეკა კონტრიძეზე გადაყიდა. გამომძიებლებმა მითხრეს, ტარიელ კარაპეტიანს გუჯეჯიანის კუთვნილ მიწის ნაკვეთს დავუბრუნებთ, მესამე პიროვნებას, ეკა კონტრიძეს კი ტაბახმელაშივე, გაუნაწილებელი მიწებიდან მივცემთ ნაკვეთსო. მოკლედ, გამომძიებლებმა ეს საკითხი ისე მოაგვარეს, რომ არც ეკონომიკის სამინისტროს ჰკითხეს, მისცემს თუ არა მესამე პირს სხვა მიწის ნაკვეთს და არც ეკა კონტრიძეს ეკითხებიან, თანახმაა თუ არა, საკუთრებაში არსებული ნაკვეთი დათმოს. ამ შემთხვევაში, საუბარია მხოლოდ 1 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე და ტარიელ კარაპეტიანს კიდევ 3 000 კვ.მ მიწის ნაკვეთიც რომ ეკუთვნის, არსად ჩანს. გამომძიებლებმა ამაზე მიპასუხეს, რომელ 3 000 კვადრატულ მეტრს დასდევთ, ჯერ ეს 1 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი გადაიფორმეთო. გამომძიებლებმა გადაფორმების წესიც „ამიხსნეს“, წავიდეს კარაპეტიანი, განცხადება დაწეროს, თითქოს, მისი ბრალია, თანხის უქონლობის გამო, აქამდე რომ არ გაიფორმა ნაკვეთიო. ჯერ ერთი, ეს კანონის დარღვევაა, რას ნიშნავს, ფული არ მქონდა და ვერ გავიფორმე?! გარდა ამისა, ეს თაღლითობაცაა, რადგან სახელმწიფოს ატყუებ. გარდა ამისა, 1 000 კვ.მ. რომელიც კარაპეტიანს ეკუთვნის, ახლა, სინამდვილეში, 1 500 კვ.მ-ია, რადგან როდესაც ფეიქრიშვილმა, იაშალაშვილმა და მაღრაძემ კარაპეტიანის მიწის ნაკვეთი გუჯეჯიანს მიყიდეს, 500 კვ.მ-იც დაუმატეს. გეკითხებით, როგორ უნდა გაუფორმონ კარაპეტიანს 1 500 კვ.მ. ნაკვეთი, როდესაც მიღება-ჩაბარების აქტში გარკვევით წერია, რომ 1 000 კვ.მ. ეკუთვნის? საინტერესოა, რატომ ერევა გამომძიებელი ასეთ საკითხებში და რატომ გვევაჭრება? იაშალაშვილი და კარაპეტიანი თანაკლასელები არიან, ტარიელმა მას რამდენჯერმე სთხოვა, მიწის ნაკვეთი დაებრუნებინა, რადგან ძალიან გაჭირვებული ოჯახიდანაა — წარმოიდგინეთ, შეშის ფულიც არ აქვს და მოხუც დედასთან ერთად, გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. კარაპეტიანი მხოლოდ კუთვნილი მიწის ნაკვეთის დაბრუნებას ითხოვს, მაგრამ, თუ ეს მიწა უკვე გაყიდულია და ვერ დაუბრუნებენ, შეაფასონ და შესაბამისი თანხა გადაუხადონ, ტარიელი ამაზეც თანახმაა. რაც მთავარია, ეს არაა კერძო ბრალდების საქმე, რომ განცხადება დაწერო და საქმე შეწყდეს, ეს სისხლის სამართლის საქმეა, რომელიც უნდა გაგრძელდეს და, იმის მიუხედავად, დაზარალებული ჩივის თუ არა, ბოლომდე მივიდეს. ასეთი შემოთავაზებით გამომძიებლები, პრაქტიკულად, აღიარებენ, მართალია, კარაპეტიანს გავუყიდეთ მიწის ნაკვეთი, რომელიც გუჯეჯიანს მივყიდეთ, მაგრამ ახლა ისევ კარაპეტიანს დავუბრუნებთო.

**— რას ფიქრობთ, გამომძიებლები, კონკრეტულად, ვის მფარველობენ, ვისი ინტერესები იკვეთება?**

— ამ საქმეში თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილის ინტერესი ჩანს, რომელიც ახლა პარლამენტარია, მანამდე ტაბახმელას გამგებელი იყო და პოლიციაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა. ყოველ შემთხვევაში, პოლიცია ტენდენციურია, რადგან ეს გამომძიებლები საქმეს კი არ იძიებენ, გამოსავალს ეძებენ, რომ ბრალდების დამამტკიცებელი გარემოებები გააქრონ. პაატა გაგნიძეს ვკითხე, სისხლის სამართლის საქმე ყალბი დოკუმენტის გამოყენების ბრალდებითაა აღძრული, თქვენ რომელ დოკუმენტზე გაქვთ ეჭვი, რომ ყალბია ანუ, კონკრეტულად, რომელი დოკუმენტის ირგვლივ მუშაობთ-მეთქი. მიპასუხა, არც ერთი დოკუმენტი ყალბი არ არისო. აბა, მაშინ რას იძიებთ ან რის გარშემო მიდის გამოძიება-მეთქი? ამაზე გაჩუმდა და ვერაფერი მიპასუხა. ყველაფერი ეს მაეჭვებს, რომ ორივე პოლიციელი დაინტერესებულია.

**— თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილთან დაკავშირება არ გიცდიათ?**

— არა, როგორც ადვოკატი, მოწინააღმდეგე მხარესთან საუბარს ვერიდები. ხუთი თვე ვაცალე გამოძიებას, მაგრამ დაზარალებულს არ მოელაპარაკნენ, სამაგიეროდ, გამომძიებლები გვთავაზობენ გამოსავალს, ნუთუ, საკმარისი საფუძველი არ არის, რომ გარკვეული ეჭვი გაჩნდეს? იქნებ, თვითონ გამომძიებლები აჭიანურებენ ამ საქმეს? სოფელში ასეთი ხმაც დადის, თითქოს, გიორგი ფეიქრიშვილი ნაციონალებიდან „ოცნებაში“ გადაბარგდა და ტაბახმელასა თუ წავკისში დეპუტატ ზვიად ძიძიგურს დიდ სახლს უშენებსო.

**— ბატონო ზაურ, კონკრეტულად, რა პრობლემა შეუქმნა თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილმა თქვენი დაცვის ქვეშ მყოფ ოჯახს ტაბახმელაში?**

— როგორც გითხარით, მიწის რეფორმის შედეგად, ყველა კომლს უნდა მისცემოდა 6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ტარიელის მამამ, ზაქარია კარაპეტიანმა მიიღო მიწის 4 ნაკვეთი და ოთხივეზე გამოწერილია მიღება-ჩაბარების აქტი. ერთი — 3 000 კვ.მ. ორი — 1 000-1 000 კვ.მ. და ერთიც — 1 500 კვ.მ. ამ დროს, მისი შვილი, ტარიელი პატიმრობაში იმყოფებოდა, როდესაც ციხიდან გამოვიდა, მამა გარდაეცვალა, მიიღო მემკვიდრეობა და გადაწყვიტა, მამის ქონება გადაეფორმებინა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 3 000 კვ.მ. და 1 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთები მამის სახელზე აღარ ირიცხებოდა, მოიძია დოკუმენტები და გაირკვა, საჯარო რეესტრში აღნიშნული მიწის ნაკვეთი უკვე მესამე პირზე ირიცხება. როგორც იქნა, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა ტარიელ კარაპეტიანის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის გასხვისებასთან დაკავშირებით. ჩემდა გასაოცრად, საქმე აღძრეს ყალბი დოკუმენტის გამოყენების გამო, არადა, მიწის ნაკვეთის უკანონოდ გასხვისების გამო ვდაობთ. ასე იყო თუ ისე, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, 2013 წლის 26 სექტემბერს, ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა, ნინო ცაციაშვილმა გადაუგზავნა საქმის მასალები ძველი თბილისის მე-6 განყოფილებას, რომელიც დაბა ტაბახმელას პოლიციაა. იანვარში ამ საქმეზე ახალი პროკურორი ნიკოლოზ ნინიძე დაინიშნა, რომელსაც ვუთხარი, რომ ხუთი თვეა, საქმე ძიებაშია, პროკურორმა მიპასუხა, ხუთი თვე კი არა, ორი კვირაა, რაც ამ საქმის გამოძიება დაიწყოო. არადა, საქმეს ერთვის მიღება-ჩაბარების ორივე აქტი და რეესტრიდან ამონაწერი მესამე პირის სახელზე. ვეჭვობ, გამოძიება ტენდენციურობას იჩენდა, რადგან საქმეს იძიებდა და დაკითხვას აწარმოებდა პაატა გაგნიძე, საქმე კი პაატა ხაინდრავას დააწერეს. მართალია, ორივე ტაბახმელას პოლიციაში მუშაობს, მაგრამ, როგორც ჩანს, ხაინდრავამ არ იცის საქმის წარმოება და გაგნიძე ამიტომაც იძიებს, რაც საპროცესო დარღვევად ითვლება — საქმე იმ გამომძიებელმა უნდა გამოიძიოს, რომელსაც აწერია.

**— ტაბახმელას მკვიდრთაგან, მხოლოდ ტარიელ კარაპეტიანს იცავთ?**

— თავიდან, დავით აზარიაშვილს ვიცავდი, რომელიც ასევე კომლის წევრია. აზარიაშვილმა იცოდა, რომ მასზეც იყო მიწის ნაკვეთი გამოყოფილი, მაგრამ ცოტა ხნით რუსეთში წავიდა, როდესაც დაბრუნდა და საკუთარი მიწის ნაკვეთი მოიკითხა, აღმოჩნდა, რომ 1 100 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მისცეს ანუ 6 000-მდე არ შეუვსეს. ამაზე დავიწყეთ დავა, მაგრამ პროკურატურამ ეს საქმე სისხლის სამართლის საქმედ არ ჩათვალა, სამოქალაქო დავის საკითხიაო. ამასობაში, ჩაერთო მეორე მოქალაქე, მერაბ ოქრუაშვილი, რომელსაც ანალოგიური პრობლემა ჰქონდა. ოჯახი დღესაც ტაბახმელაში ცხოვრობს, მამამისი და თვითონ ცალკე კომლად არიან გაყოფილი და ერთმანეთის გვერდით მისცეს მიწის ნაკვეთები. მამის გარდაცვალების შემდეგ, ოქრუაშვილის კუთვნილი მიწის ნაკვეთი სადღაც გაქრა, პრობლემა ისაა, ვერც დავით აზარიაშვილისა და ვერც ოქრუაშვილის მამებმა ვერ მოასწრეს, მიწის ნაკვეთი საკუთრებაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე დაემტკიცებინათ. შესაბამისად, პროკურატურაში მუდმივად გვეუბნებოდნენ, საკმარისი მტკიცებულებები არ გაქვთ, საქმე რომ აღიძრასო.

**— გასაგებია, რომ მიღება-ჩაბარების აქტი აუცილებელია, მაგრამ 1992 წელს მიღებული დადგენილება, რომლითაც ამ ხალხს მიწის ნაკვეთი უნდა გადასცემოდათ, საკმარის მტკიცებულებად არ მიიჩნევა ?**

— რა თქმა უნდა, მიიჩნევა, რადგან იმ დადგენილებაში წერია, რომ ცალკე დაფიქსირებულ ყველა კომლს 6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი უნდა მიეცეს, ხოლო, თუ ნაკლებს ფლობს, 6 000-მდე უნდა შეევსოს. ეს დადგენილება კანონია, რომელიც არ სრულდება. მეტსაც გეტყვით, მიწის განაწილების ოქმი და სიაც დამალულია, სადღაც გააქრეს. გარდაბნის რაიონის არქივშიც ვეძებეთ და საჯარო რეესტრშიც, მაგრამ უშედეგოდ.

**— ვინ დამალა მიწის განაწილების ოქმი და სია?**

— მაშინდელმა გამგებელმა, ახლა უკვე პარლამენტის წევრმა, თემურ (გიორგი) ფეიქრიშვილმა, მიწის განაწილების კომისიის თავმჯდომარემ, გია იაშალაშვილმა და მიწათმომწყობმა, გიორგი მაღრაძემ. ეს სამი კაცი ანაწილებდა ტაბახმელაში მიწებს, გასცემდა მიღება-ჩაბარების აქტებს და მთელი მიწები მათ ხელში იყო.

საინფორმაციო მხარდაჭერა
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ

# სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული ნავთობკომპანიები გამოავლინეს

**ნავთობპროდუქტის იმპორტიორთა კავშირის ორგანიზებით, პარასკევს, 14 თებერვალს, სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“, ნავთობპროდუქტის ბიზნესსექტორის 2013 წლის შედეგების შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ნავთობპროდუქტის სექტორს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იმპორტიორი კომპანიები, სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელები, მსხვილი ინვესტორები და უმსხვილესი დამსაქმებლები არიან.**





„ქორთიარდ მარიოტში“ გამართულ ღონისძიებაზე, ნომინაციაში — სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელი ნავთობკომპანია — „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმი“ დასახელდა, რომელმაც 2013 წელს, ბიუჯეტში 130 მლნ ლარი შეიტანა; ნავთობპროდუქტის ბიზნესსექტორის ყველაზე დიდ დამსაქმებლად „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ გამოვლინდა, რომელსაც 5 000 ადამიანი ჰყავს დასაქმებული; საკუთარი სამარკო ნიშნის ქვეშ, ავტოგასამართი სადგურების ყველაზე ფართო ქსელის მქონე კომპანიად „გალფ ჯორჯია“ – 126 გასამართი სადგური; 2013 წელს, საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტიციების განმხორციელებელია ნავთობკომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯია“; 2013 წელს, მნიშვნელოვანი სოციალური პროექტების განხორციელებისთვის, „სოკარ ენერჯი ჯორჯია“, „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ და „გალფ ჯორჯია“ დასახელდნენ; საავიაციო ნავთის ყველაზე მსხვილი იმპორტიორი და რეალიზატორი კომპანია „ჯორჯიან პეტროლიუმი“ გამოავლინეს; ნომინაციაში — პრემიუმ-ხარისხის საავტომობილო ზეთების გაყიდვების სტაბილურ ლიდერ კომპანიად „ჯი თი გრუპი“ გამოვლინდა; 2013 წელს, საქართველოს ინფრასტრუქტურულ პროექტებში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანისთვის „ფასტ პლუს 1“, „ფახრე აზერბაიჯანი“, „ჯეოლიდერი“ და GK TRADE დასახელდნენ; 2013 წელს, საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის „შავი ზღვის ტერმინალი“ და „ბათუმის ნავთობტერმინალი“ დაჯილდოვდნენ; საავტომობილო ზეთების ბაზრის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის კი კომპანიები — „ჯეოტრონიკი“, „ავიასაწვავსერვისი“ და „ალფა მოტორსი“ დასახელდნენ.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარემ, **ვანო მთვრალაშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ნავთობპროდუქტის კომპანიების დაჯილდოების ღონისძიება ტრადიციულია, რომელიც წელს უკვე მეცხრედ იმართება:

**„წარსულს ჩაბარდა დრო, როდესაც ქვეყანაში იყო კონტრაბანდა, აღურიცხავი საქონელი, კორუფცია, რაც ხელს უშლიდა ბიზნესის განვითარებას. ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა, რაც თვალნათლივ ეტყობა ბიზნესსექტორის განვითარებას. ჩვენს ქვეყანაში ოპერირებენ მსოფლიოში ცნობილი მულტინაციონალური კომპანიები, მათ გვერდით კი, კონკურენტულ გარემოში, საშუალო და, შედარებით, მცირე ბიზნესის წარმომადგენლები ვითარდებიან, შემოდის ინვესტიციები და სახელმწიფო ბიუჯეტი მნიშვნელოვან შემოსავალს იღებს. მაგალითად, თუ 2002-2003 წლებში, ნავთობპროდუქტის სექტორიდან 70 000 000-დან 90 000 000 ლარამდე შედიოდა სახელმწიფო ბიუჯეტში, დღეს ეს ციფრი 500 000 000-მდე გაიზარდა. ჩვენი ტრადიციული ღონისძიების მიზანია, კონკრეტული სტატისტიკური მონაცემების შეჯამების შედეგად, საზოგადოებას გავაცნოთ ის კომპანიები, რომლებიც წლის განმავლობაში, თავდაუზოგავი შრომის შედეგად, დოვლათს ქმნიან ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის“.**

70 462 493 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტში, 26 846 ლარის ინვესტიცია და 5 000 დასაქმებული ადამიანი, ეს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“ მცირე სტატისტიკაა. „ვერსიას“ „ვისოლ ჯგუფის“ გენერალური დირექტორი, **ვასილ ხორავა** ესაუბრება:

**„ჩვენთვის ყველა ის ნომინაცია, რაც ნავთობპროდუქტის იმპორტიორთა კავშირმა ამ ღონისძიებაზე წარადგინა, საკმაოდ მნიშვნელოვანია. სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი გადასახადები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, იმის შესაფასებლად, რამდენად სწორად ოპერირებს კომპანია, რამდენად ძლიერია და შეუძლია თუ არა მეტი პროდუქტის იმპორტი საქართველოში. რაც შეეხება დასაქმებას, შეიძლება ითქვას, ჩვენთვის თითოეული დასაქმებული ადამიანი საკმაოდ დიდი შენაძენია, რადგან დასაქმება ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებაა, 2014-2015 წლებში, „ვისოლ ჯგუფის“ ძირითადი მიმართულება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება იქნება, რაც დაკავშირებულია დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასთან. ბუნებრივია, ინვესტიციები პირდაპირკავშირშია ახალი ბიზნესის კეთებასთან, რადგან ახალი საქმე, ინვესტიციების გარეშე, წარმოუდგენელია. ამ მიმართულებითაც აქტიურები ვართ და, შესაბამისად, გაცილებით მეტი თანხა იხარჯება ამ მიმართულებით. რაც შეეხება სოციალურ პროექტებს, ესეც ჩვენი კომპანიის აქტიური ნაწილია, რადგან თუ გვინდა, ამ ქვეყანაში ბედნიერები ვიყოთ, ჩვენი მოქალაქეებიც ბედნიერები უნდა იყვნენ. ეს ბედნიერება იმ დოვლათის გადანაწილებაში გამოიხატება, რასაც კომპანია თავის მოგების ხარჯზე ქმნის. ჩვენი აქტიურობიდან გამომდინარე, ყოველთვის ვთანამშრომლობთ სხვადასხვა ფონდთან, როგორც დახმარების სახით, ასევე სპორტული აქტიურობისა და სტუდენტების ხელშეწყობის მიმართულებებით. ამ მხრივ, დიდი ხანია, ნაყოფიერად ვთანამშრომლობთ ჩვენს მეგობარ ფონდთან „იავნანა“, რომლის დამფუძნებლებიც ვართ“.**

„სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ კორპორატიული და ბიზნესკომუნიკაციის განყოფილების უფროსის, **ირაკლი ზუბიტაშვილის** განცხადებით: **„კომპანიამ რამდენიმე ნომინაციაში გაიმარჯვა. მათ შორის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი გადამხდელის ნომინაციაში გამარჯვება. გასული წლის ბიუჯეტში 130 000 000 ლარი გადავიხადეთ. მნიშვნელოვანია ასევე მეორე ნომინაციაში გამარჯვება, რომლითაც „სოკარი“ 2013 წელს, საქართველოში ყველაზე დიდი ინვესტიციის განმხორციელებელ კომპანიად დასახელდა“.**

*მაია მიშელაძე*



მერაბ ბერიძე
599-45-50-26

# გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პირველი პრეზიდენტია, რომელმაც საინგილოში ჩასვლა გაბედა!

**შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ვიზიტი ისტორიულია — დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ქვეყნის ლიდერმა პირველად მოინახულა ისტორიული ჰერეთი (საინგილო) და იქ მცხოვრები ქართველები. ზვიად გამსახურდიას არ დასცალდა, შევარდნაძემ და სააკაშვილმა კი, ხანგრძლივი მმართველობის მიუხედავად, საინგილოში ჩასასვლელად „ვერ მოიცალეს“.**

## რა დაიბარეს ინგილოებმა მარგველაშვილს ალიევთან



გიორგი მარგველაშვილის მეზობელ აზერბაიჯანში პირველივე ვიზიტი შედეგიანი გამოდგა — პრეზიდენტი ქალაქ გაბალადან ქართველებით დასახლებულ კახის რაიონს ესტუმრა, კახში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში მართლმადიდებელმა ქართველებმა ქვეყნის პირველ პირს ემოციური დახვედრა მოუწყვეს — პრეზიდენტის პატივსაცემად, ტაძრის ეზოში შეკრებილმა მრევლმა ქართული სიმღერები შეასრულა. გიორგი მარგველაშვილმა ტაძარს წმინდა გიორგის ხატი უსახსოვრა. საქართველოს პრეზიდენტი კახში ქართულ დიასპორას შეხვდა, მშობლიური ტრადიციების შენარჩუნებისა და ორი ქვეყნის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

**„შეხვედრა ძალიან ემოციური იყო. როდესაც ჩადიხარ და ნახულობ შენს ხალხს, შენს კულტურას, რომელსაც თავის წვლილი შეაქვს ორი მეგობარი ქვეყნის განვითარებაში, გული სიამაყით გევსება. გიხარია, რომ ისინი ასე ამდიდრებენ სხვა ქვეყნის კულტურასაც. ეს ადამიანები აზერბაიჯანის ღირსეული მოქალაქეები არიან და ამ ქვეყანას აძლიერებენ. ჩვენი შეხვედრისას, პრეზიდენტმა ალიევმა აღნიშნა, რომ სწორედ ამ ხალხით ძლიერდება აზერბაიჯანი. ვამაყობთ აზერბაიჯანის ქართველობით ზუსტად ისევე, როგორც ვამაყობთ ჩვენი ქვეყნის აზერბაიჯანელი მოქალაქეებით“,** — განაცხადა მარგველაშვილმა.

დიასპორასთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტი აზერბაიჯანული მხარის მიერ ახლადგარემონტებულ ქართულ სკოლასაც ესტუმრა, რომელსაც საქართველოს განათლების სამინისტრომ ახლახან ქართულენოვანი სახელმძღვანელოები გადასცა.

**„დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქვეყნის პირველმა პირმა აქ მცხოვრები ეთნიკური ქართველები მოინახულა“,** — აცხადებენ პრეზიდენტის პრესსამსახურში.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანში ჩასვლამდე, საინგილოს ქართველებმა პრეზიდენტ მარგველაშვილს წერილი მიწერეს, სადაც არსებული მდგომარეობის გამო, საკუთარი გულისტკივილი გამოხატეს. „ვერსია“ ამ წერილს უკომენტაროდ გთავაზობთ:

**„ბატონო გიორგი, ძალიან სასიხარულოა, რომ ბაქოს შემდეგ, ქართველებით დასახლებულ ისტორიულ ჰერეთში (ახლანდელი საინგილო) ჩაბრძანდებით. ეს წინა პრეზიდენტმა, ცხრა წლის განმავლობაში, „ვერ გაბედა“, ბოლოს ნახჭევანის ავტონომიაშიც კი იყო ჩასული და ძირძველი ჰერებისთვის „ვერ მოიცალა“. დარწმუნებულნი ვართ, თქვენი ნაბიჯი შედეგს აუცილებლად მოიტანს, იქაური ქართველები მხარდაჭერას იგრძნობენ, რაც გადარჩენა-განვითარებისთვის აუცილებელია.**

**ძალიან კარგი იქნებოდა, კახის გარდა, ზაქათალისა (სოფლები — ალიაბადი და მოსული) და ბელაქნის (სოფ. ითითალა) ქართულ დასახლებებშიც ჩასულიყავით, მაგრამ ვეჭვობთ, საწყის ეტაპზე, ეს ვერ მოხერხდება, თუმცა თბილისისკენ თუ მანქანებით წახვალთ, დაბა ალიაბადზე (ისტორიული ენისელი) გამოივლით...**

**მანამდე გთხოვთ, მასპინძლებს ეს კონკრეტული კითხვები დაუსვათ და, როგორც მეგობარი სახელმწიფოს პრეზიდენტმა, პასუხები მოითხოვოთ:**

**1) რატომ უკრძალავენ დღემდე საინგილოს ქართველებს, რომ შვილებს ქართული სახელები დაარქვან?**

**2) რატომ არ ფუნქციონირებს ზაქათალისა და ბელაქნის ინგილოურ სოფლებში (ალიაბადი, მოსული, ითითალა) ქართული საბავშვო ბაღები, როცა აზერბაიჯანული არის?**

**3) რატომ არის გაუქმებული ამ სოფლების სკოლებში ქართული მოსამზადებელი კლასები, როცა აზერბაიჯანული ფუნქციონირებს, რაც კანონმდებლობის უხეში დარღვევაა? ამის გამო, მშობლებს ქართულ სექტორზე ველარ მიყავთ ბავშვები და იძულებულნი არიან, აზერბაიჯანულში მიიყვანონ. ამ პროცესმა კატასტროფული შედეგები მოიტანა და, მაგალითად, 10-ათასკაციან დაბა ალიაბადში 4 საშუალო სკოლიდან ქართული სექტორი მხოლოდ ერთში დარჩა, მეორეში მხოლოდ მე-11 კლასია დატოვებული;**

**4) რატომ კრძალავენ დღემდე საინგილოში ქართული სახელმძღვანელოების (განსაკუთრებით ისტორია-გეოგრაფიის) ჩატანას და წიგნებს საბაჟოზე „აპატიმრებენ“?**

**5) რატომ ცდილობენ ყველა ამ ნაბიჯებით ჰერეთის მაჰმადიანი ქართველების დაუფარავ ასიმილაციას, როცა ქვემო ქართლში მსგავსი არასოდეს ყოფილა?**

**6) რატომ არ წყდება საუბრები საინგილოს ქრისტიანული ეკლესიების „ალბანურ წარმოშობაზე“, რაც ადგილობრივი ადმინისტრაციის ლამის ოფიციალური პოზიციაა?**

**ჩვენი ქვეყნის ისტორიული ფესვები ჰერეთში, ტაო-კლარჯეთში, თუნდაც ფერეიდანშია. არ უნდა მივცეთ მეზობელი და მეგობარი ქვეყნის არამ ეგობრულ ელემენტებს საშუალება, რომ ამ ძირძველ ქართულ ფესვებს უდიერად შეეხონ. ყოველი დათმობა და ხმის არამოღება მათ კიდევ უფრო ათამამებთ. დროა, შემობრუნება დაიწყოს, კახში ჩასვლა პირველი ნაბიჯია და არ უნდა გავჩერდეთ. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, ჰერეთი შველას ითხოვს“.**

ჰერების ეს გზავნილი კომენტარს არ საჭიროებს, ის დროულ რეაგირებას მოითხოვს. პირველი სერიოზული ნაბიჯი გადადგმულია — პრეზიდენტის ვიზიტით ქართველებმა თბილისის მხარდაჭერა იგრძნეს. იმედია, შემდეგი ჩასვლისას ზაქათალისა და ბელაქნის ქართველებიც ყურადღების მიღმა არ დარჩებიან. საინგილოში ქართული სულის შენარჩუნება-განვითარებაში თბილისის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. აუცილებლად უნდა შეიქმნას მთავრობისგან მხარდაჭერილი პროფესიონალების ჯგუფი (ადრე მეცნიერებათა აკადემიასთან საინგილოს საშეფო კომისია ფუნქციონირებდა), რომელიც ჰერეთთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას გააანალიზებს და გამოსწორების რეალურ გზებს დასახავს.

# „ენერგო-პრო ჯორჯია“ ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აგრძელებს

**სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, წარმატებით განაგრძობს ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომელიც ენერგომომარაგებისა და მომსახურების გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. ქსელის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ავარიული გათიშვების მინიმუმამდე დაყვანისა და აბონენტების უწყვეტი ელექტრომომარაგების მიზნით, სარეაბილიტაციო სამუშოები, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ დასავლეთ საქართველოს რეგიონული ფილიალის ყველა მომსახურეობის ცენტრშია დაგეგმილი. შესაბამისად, ამ ტიპის სამუშაოები უკვე ჩატარდა ფოთში, წყალტუბოში, ოზურგეთსა და ზესტაფონში, სადაც ენერგომომარაგება საგრძნობლად გაუმჯობესდა.**

## ფოთში, წყალტუბოში, ოზურგეთსა და ზესტაფონში ენერგომომარაგება გაუმჯობესდა



სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, **ავთო დვალიშვილმა** „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ფოთში ახალი, 24 კმ სიგრძისა და 0.4 კილოვოლტის ელექტროგადამცემი ხაზი უკვე აშენდა, რის შედეგადაც ქალაქის 18 ქუჩას, ხარისხიანი და უწყვეტი ელექტროენერგია მიეწოდება. მისი თქმით, „ენერგო-პრო ჯორჯია“ მსგავს სამუშაოებს ფოთში კიდევ რამდენიმე ქუჩაზე ატარებს:

**„აღნიშნულ ქუჩებზე ქსელი ყველაზე სავალალო მდგომარეობაში იყო და, შესაბამისად, სწორედ ამ ქუჩებით დავიწყეთ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც, ეტაპობრივად, მთელი ქალაქის მასშტაბით განხორციელდება. ფოთის მომსახურეობის ცენტრში, შესრულებული და მიმდინარე სამუშაოები კომპანიის რეგიონული ფილიალის ხელმძღვანელობამ უკვე შეამოწმა. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, წარმატებით განაგრძობს ყველა იმ პროექტის განხორციელებას, რომელიც ენერგომომარაგებისა და მომსახურების გაუმჯობესებას ეხება. ფოთის მომსახურეობის ცენტრში, ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დასრულდა ელადას, კოკაიას, სარსანიას, ვაჟა-ფშაველას, ნიკოლაძის სანაპიროს, პუშკინის, ჩიტაიას, გრიბოედოვის, გიგო დიდიას, სულხან-საბა ორბელიანის, შავი ზღვის, ათონელის, ასათიანის, მშვიდობის, ბერდიანსკის, სარსანიას, დანელიას და ჩეხოვის ქუჩებზე. რაც შეეხება ნინოშვილის, მაკალათიასა და კაკულიას ქუჩებს, აქ სამუშაოები ჯერ კიდევ მიმდინარეობს“.**

დვალიშვილის თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ქალაქ წყალტუბოს საკურორტო ზონაშიც გრძელდება, რამაც აბონენტების ენერგომომარაგება უფრო ხარისხიანი და სტაბილური გახადა. ქალაქის გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში, მთლიანად შეიცვალა მაღალი ძაბვის საკაბელო ქსელი, ხოლო საჰაერო ქსელი უფრო საიმედო, მიწისქვეშა კაბელით ჩანაცვლდა. ჯამში, წყალტუბოს ცენტრში 6 400 მეტრზე მეტი ახალი კაბელი დამონტაჟდა:

**„ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ძირითადად, წყალტუბოს ტურისტული ზონის ტერიტორიაზე ჩატარდა. ჩვენ მიერ განხორციელებული სამუშაოების შედეგად, კურორტის ცენტრალური პარკისა და ბალნეოლოგიური ზონის არეალში არსებული 15 სანატორიუმის, 5 სასტუმროსა და 1 400-მდე აბონენტის ენერგომომარაგება გაუმჯობესდა. აღნიშნულ ზონაში არსებული 4 ფიდერის საჰაერო ქსელი კი მიწისქვეშა კაბელით შევცვალეთ, მთლიანად გავაუქმეთ და ახლით ჩავანაცვლეთ ძველი საკაბელო მეურნეობა, რამაც საკურორტო ზონაში, უამინდობით გამოწვეული ავარიის რაოდენობა მინიმუმამდე დაიყვანა. სამუშაოების ძირითადი ნაწილი უკვე დასრულებულია, რაც პარკის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პარალელურად განხორციელდა“.**

სს „ენერგო-პრო ჯორჯია“ სარეაბილიტაციო სამუშაოებს ოზურგეთშიც აგრძელებს, სადაც 12 ქუჩის ენერგომომარაგება უკვე გაუმჯობესდა. სარეაბილიტაციო სამუშაოები 0.4 კილოვოლტის ქსელზე ჩატარდა, მოძველებული და ამორტიზებული სადენები კი ახალი, იზოლირებული სადენით შეიცვალა, რომელიც, მთლიანობაში, 13 185 მეტრი სიგრძისაა. ავთო დვალიშვილის თქმით, ამჟამად, სამუშაოები მიმდინარეობს ოზურგეთში, წმინდა გიორგის ქუჩაზე, რის შემდეგაც ამ ქუჩაზე მცხოვრები 102 აბონენტი ხარისხიან ელექტროენერგიას მიიღებს. რეაბილიტაციის ფარგლებში, მოძველებული სადენები ახალი, 2 400 მეტრი სიგრძის იზოლირებული სადენით შეიცვლება. როგორც „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ აცხადებენ, ეს სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება, თუმცა სამუშაოები უკვე დასრულდა ფარნავაზ მეფის, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, გამსახურდიას, თბილისის, კოსტავას, ბათუმის, ლერმონტოვის, თამარ მეფის, კიტა მეგრელიძისა და 26 მაისის ქუჩებზე. ავთო დვალიშვილის განმარტებით, ფოთის, წყალტუბოსა და ოზურგეთის გარდა, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოების მორიგი ეტაპი ზესტაფონშიც დაიწყო. ქალაქის ერთ-ერთ დიდ ფიდერზე — „აჯამურა“, დაწყებული სამუშაოების ფარგლებში, 10 000 მეტრზე მეტი ახალი სადენი მონტაჟდება, რის შედეგადაც აბონენტების ენერგომომარაგება უფრო სტაბილური გახდება:

**„ამჟამად, ჩხეიძისა და 9 ძმის ქუჩაზე, 4 500 მეტრამდე ძველ, ღია სადენებს, ახალი და იზოლირებული კაბელით ვცვლით, მეტიც, ახალ საყრდენებსაც ვამონტაჟებთ. სამუშაოები უკვე დასრულდა ფიროსმანის, გორგასლის, ქოჩიაშვილის, გოზალიშვილის, ნიკო ნიკოლაძისა და მაზნიაშვილის ქუჩებზე, სადაც დაახლოებით, 6 000 მეტრი სიგრძის, თანამედროვე ტიპის დახურული სადენი დავამონტაჟეთ. გამანაწილებელი ქსელის აღდგენის გარდა, ზესტაფონში მიმდინარე სამუშაოები ქსელის შემდგომ განვითარებასაც ისახავს მიზნად, რისთვისაც არსებულზე უფრო დიდი კვეთის კაბელებს ვამონტაჟებთ. ეს, მომავალში, ახალი აბონენტების ქსელზე მიერთებასა და ელექტროენერგიის მოხმარების ზრდის თვალსაზრისით, უპრობლემო ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. მომდევნო ეტაპზე, სამუშაოები ფიდერ „აჯამურას“ არეალში შემავალ, სხვა ქუჩებზეც გაგრძელდება“.**

*მაია მიშელაძე*



# „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი“ — უმაღლესი სტანდარტის განათლების კერა მომავალი ბიზნესმენებისთვის



„საქართველოს ბანკის“ პრიორიტეტული სფეროებიდან, ერთ-ერთი განათლებაა. სწორედ ამის დამადასტურებელია ის, რომ „საქართველოს ბანკმა“ „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი“ დააფუძნა. სასწავლებელი, რომელიც მაგისტრანტებს მაკროეკონომიკაში უმაღლესი ხარისხის განათლებას მისცემს, თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. უნივერსიტეტში ლექციებს გამოცდილი პროფესორები კითხულობენ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ უნივერსიტეტის წარჩინებულ სტუდენტებს „საქართველოს ბანკი“ 100%-ით დააფინანსებს.

„საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორი **ირაკლი გილაური** აცხადებს, რომ მათი უნივერსიტეტი, ნებისმიერ მსურველს მისცემს საშუალებას, განათლება უმაღლეს დონეზე მიიღოს: **„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ მიზანია, ხელი შეუწყოს მაკროეკონომიკაში მაღალი სტანდარტის განათლების დამკვიდრებას. უნივერსიტეტი ნებისმიერ მსურველს მისცემს საშუალებას, დაეუფლოს ფინანსურ ცოდნას სასურველ დონეზე. ესაა საუკეთესო უნივერსიტეტი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელსაც მაღალი დონის განათლების მიღება სურს“.**

„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში“ (ვებ-გვერდი www.bog.edu.ge) არის ბიზნესის სკოლა და თანამედროვე განათლების რამდენიმე ცენტრი: მომხმარებელთა ფინანსური განათლების, სასერტიფიკატო სწავლების, პროფესიული განათლებისა და დამწყები ბიზნესის მხარდაჭერის ცენტრები. უნივერსიტეტში გათვალისწინებულია პროგრამები აბიტურიენტებისთვის, უკვე დასაქმებული და განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანებისთვის, რიგითი მომხმარებლისა და საკუთარი ბიზნესის მფლობელთათვის.

2014 წლის სექტემბრიდან, „საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ ბიზნესის სკოლა სტუდენტებს შესთავაზებს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ფინანსებში. ეს პროგრამა არაერთი უპირატესობითაა გამორჩეული, მაგალითად: პრაქტიკისა და თეორიის საუკეთესო შერწყმა; ფინანსური განათლება ქვეყანაში წამყვანი ფინანსური ინსტიტუტის წარმომადგენლებისგან; „საქართველოს ბანკის“ ჯგუფში პრაქტიკის გავლისა და დასაქმების რეალური შესაძლებლობა; საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური პერსონალის ლექციები. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე 50 სტუდენტი მიიღება. მათგან საუკეთესო 10 სტუდენტი „საქართველოს ბანკისგან“ 100%-იან დაფინანსებას მიიღებს, შემდეგი 20 სტუდენტი კი — შვიდწლიან უპროცენტო სტუდენტურ სესხს. სწავლის ღირებულება 7500 დოლარია.

„საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის“ რექტორის, **აკაკი ხელაძის** განცხადებით, ბევრი მიზეზი არსებობს, რის გამოც, ეს სასწავლებელი გამორჩეულია: **„საინტერესო კონცეფცია შემოდის ბაზარზე. გვაქვს სამაგისტრო პროგრამა, რომელთა ხანგრძლივობა 2 წელია. ეს არის მაღალი ხარისხის პროდუქტი, რომელსაც მომხმარებელს ვთავაზობთ. უნივერსიტეტში მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორები ასწავლიან, შენობა კომფორტული და თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი“.**

რაც შეეხება უნივერსიტეტში არსებულ სხვადასხვა ცენტრებს — დამწყები ბიზნესის მხარდაჭერის ცენტრის საქმიანობა, იდეებით აღსავსე და მოტივირებული პიროვნებების ხელშეწყობას გულისხმობს. მისი მიზანია, ადამიანებს საკუთარი ბიზნესის დაწყების შესაძლებლობა მისცეს. პროგრამის მონაწილეები მიიღებენ პროფესიულ კონსულტაციას და მათ ბიზნესწრეებთან კონტაქტის დამყარების საშუალებაც ექნებათ. ისინი ბიზნესგეგმის შექმნაზეც იმუშავებენ. საუკეთესო იდეების ავტორებზე კი, გრანტები გაიცემა.



სასერტიფიკატო სწავლების ცენტრი მსურველებს ბიზნესის ადმინისტრირების სხვადასხვა მიმართულებით მოკლევადიან სპეციალიზირებულ სასწავლო კურსებსა და ტრეინინგებს შესთავაზებს. სასერტიფიკატო კურსის მეშვეობით, შედარებით მოკლე დროში მსმენელი დაეუფლება აკადემიურ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

მომხმარებელთა ფინანსური განათლების ცენტრში კი საქართველოს ბანკის მომხმარებლები — ფიზიკური და იურიდიული პირები, სრულიად უსასყიდლოდ გაივლიან სპეციალურ კურსს ფინანსების მართვის საფუძვლებში. ეს უმნიშვნელოვანესი პროცესია, რადგან მომხმარებელთა ნაწილი კრედიტს არასწორად მართავს და საბოლოოდ, მოგების მიღების ნაცვლად, ზარალობს, რის გამოც იძულებული ხდება, ქონება დაკარგოს. ამჯერად, კურსის მოსმენის შედეგად, მომხმარებლები შეძლებენ საკუთარი ფინანსური რისკების მინიმიზაციას და საფინანსო დაწესებულებასთან გრძელვადიანი, მომგებიანი ურთიერთობის აგებას. წლის განმავლობაში კურსს გაივლის ათასი მომხმარებელი.

პროფესიული განათლების ცენტრი დაინტერესებულ პირებს შეთავაზებს აკრედიტებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას საბანკო საფინანსო სექტორში. ეს პროგრამა აბიტურიენტებსა და ახალ კურსდამთავრებულებს საშუალებას მისცემს, ადრეულ ეტაპზევე დაგეგმონ საკუთარი კარიერა.

*ნინო ლურსმანაშვილი*

# მსახიობი და დირიჟორი ირაკლი ჩოლოყაშვილი ნაციონალური მოძრაობის წევრი გახდა

ანი ბეშიტაიშვილი
597-39-99-42

**„სურვილი მაქვს, გავხდე ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრი. მაპატიეთ, თუ ჩემზე წარმოდგენა შეგეცვალათ“, — ამ განცხადების ავტორი ირაკლი ჩოლოყაშვილია. ნაციონალების რიგებში შესვლის სურვილი მსახიობმა და დირიჟორმა ერთ-ერთ სოციალურ ქსელში დააფიქსირა. რატომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და რა როლს შეასრულებს არტისტი ქართულ პოლიტიკაში?**
**„ვერსია“ ირაკლი ჩოლოყაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ირაკლი, ნაციონალებში გაწევრიანების სურვილი რატომ გაგიჩნდათ?**

— როცა საქართველოს სახელმწიფოებრიობა საფრთხეშია, საქმე გვარებსა და სახელებში კი არა, იდეოლოგიაშია. ნაციონალურ მოძრაობას აქვს მკვეთრი პროდასავლური კურსი — ესაა ჩემთვის ამოსავალი წერტილი.

**— გადაწყვეტილების მიღებისას, იმ ფაქტმაც ხომ არ იმოქმედა, რომ ბიძინა ივანიშვილის დაფინანსება შეგიწყდათ და ამის გამო გაბრაზდით?**

— როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში მოვიდა, დაფინანსება თავად შევიწყვიტე და არჩევნებზეც „ხუთიანი“ პირველად მაშინ შემოვხაზე. ის ჯერ მეცენატის მანტიაში გამოწყობილი მოგვევლინა, რამდენიმე წელიწადში კი ნამდვილი ზრახვები გაამჟღავნა. რუსები საბჭოთა კავშირის დროსაც ცდილობდნენ, ინტელიგენცია გადაებირებინათ — ყოველთვის პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჰყავდათ არქიტექტორები, მოქანდაკეები, ზოგჯერ ექიმიც გამოერეოდა, მაგრამ, ძირითადად, აქცენტი მსახიობებზე კეთდებოდა. კომუნისტებს სჭირდებოდათ, მათი იდეოლოგიისთვის მხარი საზოგადოების ისეთ ნაწილს დაეჭირა, რომელიც არჩევნების დროს, ან რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას მეტ დივიდენდებს მოუტანდა. პირველად სწორედ ამან დამაფიქრა — როცა ივანიშვილმა ინტელიგენციის დახმარება დაიწყო, ვიფიქრე, მსგავს მოვლენასთან ხომ არ გვაქვს-მეთქი საქმე. როცა იცი, ეს კაცი ვინ არის, სად გამდიდრდა, როცა ფიქრობ, რომ წესიერი შრომით საბჭოთა პერიოდში მილიარდებს ვერ იშოვიდი, ეჭვიც მაშინ იბადება. კარგია, რომ თეატრები გარემონტდა, აშენდა, მაგრამ, როცა ამას პოლიტიკის ელფერი მიეცა და ჩემი ეჭვი გამართლდა, მისგან ფულს ვეღარ ავიღებდი. ორი ვარიანტია — თუ არ მოგწონს, ან უარი უთხრა, ან მიეყიდო. ზოგმა მისი იდეები გაიზიარა და გვერდით ამიტომ დაუდგა, ზოგმა უარი თქვა დახმარებაზე, ზოგს, შეიძლება, არ მოსწონს, მაგრამ თანხას მაინც იღებს.

**— სოციალურ ქსელში გავრცელებულ თქვენ განცხადებაში იგრძნობა, რომ ამ გადაწყვეტილების გამო, საზოგადოების ნაწილისგან აგრესიას ელოდით...**

— არ ვიცი, როგორი იქნება საზოგადოების განწყობა, მაგრამ მათთვის, ვინც მაკრიტიკებს და მეუბნება — უსამართლობაზე ახლა რომ საუბრობ, 26 მაისს რატომ არ ამოიღე ხმაო, კონტრარგუმენტი მაქვს — 1990-1991 წლებში ეროვნული ხელისუფლების ერთ-ერთი მომხრე ვიყავი. ეს ხალხის მიერ არჩეული პირველი მთავრობა იყო, რომელიც იარაღის ძალით დაამხეს. ახლაც დევს საიტებზე ფაქტები, როგორ ხვრეტდნენ თავიანთი არჩევანის დასაცავად ქუჩაში გამოსულ ადამიანებს თბილისის ქუჩებში. მოვიდოდა ერთი უცნაური, ტენტიანი მანქანა „ლუაზი“, შემოაგდებდნენ „დიმაუშკას“ და მერე ისროდნენ. ვისაც მოხვდა, აღარაა ცოცხალი. ვისაც — არა, გადავრჩით. ადრე ამ კადრებს სახლში ვამრავლებდი. ერთი კასეტიდან მეორეზე გადამქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩანაწერები გაქრა. ერთი პერიოდი „მრგვალი მაგიდა“ ჩემს სახლში იკრიბებოდა. შეიძლება, მას შემოყვა ვიღაც, ვინც ითხოვა ან, უბრალოდ, ხელს გააყოლა, ეტყობა, სუკის დავალებას ასრულებდა. ამას იმიტომ ვიხსენებ, ვკითხო იმ ადამიანებს, ვინც ახლა მაკრიტიკებს — მაშინ რატომ არ ამოიღეს ხმა? წაუყრუეს? იქნებ, მოსწონდათ? ისიც ვიცი, რომ ივანიშვილს დაქირავებული ჰქონდა ოფისი, სადაც ისხდნენ „ბლოგერები“. როცა ვინმე სოციალურ ქსელში რამეს, მათთვის უსიამოვნოს დაწერდა, მათი „დაბომბვა“ იწყებოდა — ცდილობდნენ, ეჩვენებინათ, თითქოს საზოგადოების აზრია ასეთი. დღეს კი ნაციონალურ მოძრაობაში, დღეში, რამდენიმე ასეული ადამიანი წევრიანდება, რადგან, სამწუხაროდ, საზოგადოება მოტყუებული აღმოჩნდა. ეჭვი მაქვს, ეს ხელისუფლება ყველანაირ დემოკრატიულ სტანდარტს ჩამოშორდება, ეყოლება პატიმრები, რომლებსაც ვერაფერს დაუმტკიცებენ, იქნება შერჩევითი სამართალი... ამას გააკეთებენ სპეციალურად, რათა მერე ევროპამ თავად თქვას ჩვენზე უარი. ივანიშვილი რუსეთის წინაშე ვალშია. ვერავინ წამოიღო იქ ნაშოვნი ფული, ზოგი მკვდარია, ზოგი ციხეში... ერთადერთი, ბიძინამ მოახერხა ეს და ისიც, ალბათ, იმიტომ, რომ პუტინს სააკაშვილის ჩამოშორებას შეპირდა. თავისი შვიდი მილიარდიდან ორი, მართლაც, ქვეყანას დაახარჯა — ყველაფერი იყიდა, მოვიდა ხელისუფლებაში, დანარჩენი ფული ჩაიდო ჯიბეში და წავიდა. ახლა სახელმწიფოს თავის ბანკიდან აძლევს კრედიტს და მოსახლეობისგან პროცენტებით ამოიღებს იმ დახარჯულ თანხას, ეს ვერ გავთვალეთ, შეპირებულ „კეთილდღეობას“

## „მირჩევნია, ვიყო ევროპული, ვიდრე საერთოდ გავნადგურდე!“



დავხარბდით და პირადი ინტერესები მოტყუებით, უნებურად, სამშობლოზე წინ დავაყენეთ.

**— ბევრი თქვენი კოლეგა დღემდე ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერია, თქვენ მიმართ მათი დამოკიდებულება შეიცვალა?**

— არასოდეს ვყოფილვარ უმრავლესობაში. „მრგვალ მაგიდაშიც“ ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ გავწევრიანდი. მიუხედავად იმისა, ასაკი დიდად არ მიწყობდა ხელს, ვნანობ, გამსახურდიას გვერდით მანამდე რომ არ დავდექი. დღეს ჩემ კოლეგებს უკვირთ, რა მინდა ამ ხალხთან? მირჩევნია, ვიყო ევროპული, ვიდრე საერთოდ გავნადგურდე! საქართველო რომ სრულიად დამოკიდებული ვერ იქნება, ეს 1991 წელს გაირკვა და ზვიადიც ამ იდეას შეეწირა — არც ევროპა უნდოდა, არც აშშ, ჩვენ კი, არჩევანის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის გვიწევს. ყველამ იცის, რას წარმოადგენს ერთმორწმუნე რუსეთი. საქართველოს ეკლესიებში, წირვალოცვა მუსულმანების ბატონობის დროსაც მიმდინარეობდა, რუსებმა კი რაც გააკეთეს, ვიცით. ვაპირებდი, ივანიშვილისთვის ღია წერილით მიმემართა, მაგრამ სათქმელს თქვენი გაზეთით ვეტყვი — როცა ოპოზიციაში მოვიდა და უფლება აღარ ჰქონდა, დავეფინანსებინეთ, მთავრობამ გადაწყვიტა, იმ დახმარების სანაცვლოდ, ჩვენთვის ხელფასები გაეზარდა. ჩვენი თეატრის ხელმძღვანელობამ გვითხრა, ვისაც სურვილი გაქვთ, შეგიძლიათ, ყოველწლიურად „ქართუ ფონდს“ მიმართოთ და გაზრდილ ხელფასებთან ერთად, ის დახმარებაც ძველებურად აიღოთო. ზოგი ამ დახმარებას ძველებურად იღებდა, მაგრამ 2014 წლის იანვრიდან შეუწყვიტეს. „ქართუ ბანკში“ უთქვამთ, სიებს კულტურის სამინისტროს გადავცემთ და, ალბათ, მთავრობა დაგაფინანსებთო. ეს ხალხი ახლა ძალიან ცუდ დღეშია — ბანკებიდან კრედიტები აქვს აღებული. არჩევნებზე მიდიხარ იმედით, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება და ერთ წელში რა გვაქვს ხელში? — გაქცეული ლარის კურსი, დახმარება — არა, გაძვირებული პროდუქტი, საწვავი... ამ ხალხს ახლა სჭირდება გვერდში დგომა. ახლაც ხომ არ ჩაეთვლება ამომრჩევლის მოსყიდვად, დაეხმაროს! სამოქალაქო სექტორიდან დაეხმაროს, თუ აღარ არის მეცენატი? თქვას, რა პრინციპით აღარ ეხმარება, თუ ყველაფერი უკვე კარგად არის? ფაქტია, ცხოვრება გაუარესდა, პარალელურად, მთელი რიგი სამუშაო ადგილები უქმდება. რატომ? დაასახელოს მიზეზი. ან ის თქვას, იანვარში იმიტომ არ მივეცი დახმარება მსახიობებს, რომ, უბრალოდ, ტექნიკური შეფერხება იყოო. ლოგიკურია — საზოგადოებაში წინა ხელისუფლების მიმართ სიმპათია მატულობს!

**— ფიქრობთ, ნაციონალები ხელისუფლებაში დაბრუნებას შეძლებენ?**

— ნაციონალებმა მენეჯმენტი, მარკეტინგი, ქვეყნის მართვა იციან. შეცდომები ჰქონდათ, მაგრამ მას არ ეშლება, ვინც არაფერს აკეთებს. ჩვენ არ გვაქვს გამოცდილება, არ ვიცით, ქვეყანა როგორ ვმართოთ, რადგან არ გვიცხოვრია დამოუკიდებლად. აქედან გამომდინარე, რაღაც შეცდომებს ვუშვებთ. თუ სახლში ზიხარ, ქუჩაში არ დაეცემი, მაგრამ შინ ჯდომა არაფერს მოგიტანს. მიხარია, რომ ჯერ კიდევ ვარსებობთ როგორც სახელმწიფო. გასაკეთებელი ბევრია და წინაც წავალთ. ისე, იმ „ციხის კადრებში“, რაც არჩევნების წინ გვაჩვენეს, ხომ შეიძლება, რუსეთის ხელიც ერიოს? ნებისმიერ სტრუქტურაში შეიძლება ჰყოლოდათ კაცი, ვინც სპეცსამსახურების დავალებას შეასრულებდა. მერწმუნეთ, ამ ვერსიას აქვს არსებობის უფლება!

**— ბატონო ირაკლი, რას შესძენთ ნაციონალურ მოძრაობას და მისი რიგებიდან ქვეყანას როგორ გამოადგებით?**

— თუ ფიქრობ, რომ სამშობლოს რამეში გამოადგები, უმოქმედობა დანაშაულის ტოლფასია. იქნებ, იმ 400 კაციდან, ვინც ყოველდღე სპექტაკლზე მოდის, ორი-სამი მაინც დაფიქრდეს, რა ხდება სინამდვილეში. ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის იქნება ანგარიშგასაწევი ძალა იმიტომ, რომ სხვა ოპოზიცია საქართველოში, სამწუხაროდ, არ არის.

**— ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს იმაშიც ეთანხმებით, რომ საქართველოს სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობაზე უარი უნდა ეთქვა?**

— დიახ. პრემიერ-მინისტრი ამბობს, რუსეთს ჩვენ წინააღმდეგ ისეთი ბერკეტი არ აქვს, როგორიც უკრაინის წინააღმდეგო. მეტი რა ბერკეტი გინდა? — დიპლომატიური ურთიერთობა არ გაქვს, საომარი ვითარება გქონდა და ტერიტორიებს ყოველდღე კარგავ. იქ, დროშით ხელში გამოსვლა არაღიარების პოლიტიკის გაუფასურებაა. ოლიმპიადა მშვიდობის თამაშებია, იმ დვანელ კაცს, რომელმაც მამაპაპისეული სახლი დაკარგა და საკუთარ სამოსახლოს ახლა ღობის იქიდან უყურებს, აბა, ჰკითხეთ, მაგის თავს მშვიდობაა? განა, რას მოგვიტანს ეს შეჯიბრი? — სამწუხაროდ, ოლიმპიურ ოქროებთან ერთად, კიდევ ბევრ რამეს წავაგებთ. მერე გვიანი იქნება, სხვას უთხრა, მხარი დამიჭირეო. პარტერში პუტინი რომ დამისვა და მითხრა, გადი ახლა სცენაზე და „მრავალჟამიერი“ იმღერეო, გული გამისკდება — ემოციურად ვერ გადავიტან. ჯაბა იოსელიანი რომ მოდიოდა თეატრში, მაშინ ვკანკალებდი სიბრაზისგან — წინა დღეს მიტინგებზე გვხვრეტდნენ და მერე, სპექტაკლებზე მოდიოდნენ. ისიც არ მესმის, კრემლში როგორ უნდა იმღერო „ხმალო ხევსურეთს ნაკვეთო“? ვფიქრობ, სპორტსმენებს უარი უნდა ეთქვათ და ასე შესულიყვნენ საქართველოს ისტორიაში. ღმერთმა ქნას, ოლიმპიური ცხოვრებითაც შევიდნენ ისტორიაში, თუმცა ამ შემთხვევაში, ეს პატრიოტული მოტივი აუცილებელი იყო. ქართველობა და პროფესია ერთმანეთს უნდა შეუთავსო, თუ ვერ უთავსებ, არჩევანი სამშობლოს სასარგებლოდ უნდა გააკეთო.

## ვერსიანიუსი

## პაატა იმნაძე: „გრიპის ვირუსების ზრდის თვალსაზრისით, ვითარების გართულება მოსალოდნელი არ არის“



დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელი პაატა იმნაძე გრიპის ვირუსების ზრდის თვალსაზრისით, ვითარების გართულებას არ ელის, თუმცა, აღნიშნავს, რომ თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში, გრიპის შემთხვევების მატება მოსალოდნელია, მაგრამ ისეთი დონის, როგორც 2009 წელს იყო.

**„ჩვეულებრივი ზამთარია, ტრიალებს ჩვეულებრივი გრიპის ვირუსი“,** — აცხადებს პაატა იმნაძე.

ვირუსი საფრთხეს წარმოადგენს ქრონიკული დაავადების მქონე პირებისთვის, ასევე, დიაბეტით, ფილტვების, გულსისხლძარღვთა დაავადების მქონე ადამიანებისთვის.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელმა განსახორციელებელი პრევენციის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ავადმყოფი უნდა მოერიდოს თავშეყრის ადგილებში სიარულს და მოქალაქეებს მიმართავს, რომ მიირთვან ნიორი, ხელები ხშირად დაიბანონ.

რაც შეეხება ზოგად სურათს, პაატა იმნაძის ინფორმაციით, ლაბორატორიულად დადასტურებული 87 შემთხვევიდან, 82 ტიპის H3N2 ვირუსია, ორ შემთხვევაში დადასტურდა ე.წ. ღორის გრიპი, H1N1, ხოლო ორი ტიპის ვირუსი გამოვლინდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

1. მდინარის ტრანსპორტი
2. დიდი ვენახი
3. დათა თუთაშხიას როლის შემსრულებელი
4. ამერიკული ჯინსების ბრენდი
5. ხელოვნური ბოჭკო
6. მთის ბალახოვანი მცენარე თეთრი ყვავილით
7. ქალის ვარცხნილობის ტიპი
8. პატარა მტაცებელი ცხოველი ძვირფასი ბეწვით
9. აშშ-ის ფულის ერთეული
10. იუპიტერის მეუღლე
11. თავაშვებული ქეიფი, ღრეობა
12. ტოკიოს ძველი სახელწოდება
13. განსხვავებული ფერის ზოლი ქსოვილის კიდეზე
14. კანის ცხიმოვანი ჯირკვლების ანთება
15. ერთ-ერთი სახარების დამწერი
16. გამოღრმავებული ადგილი კედელში
17. ცნობილი ამერიკელი განგსტერი
18. თაგვის „ბინა“
19. შოტლანდიის ტბაში მცხოვრები ურჩხული
20. წყალქვეშა ნავის მოძველებული სახელწოდება
21. მკვრივი ქსოვილის საფუძველი ფერწერისთვის
22. დიდი ჩაქუჩი
23. ღორის ცხვირი



24. VI ს-ში ქრისტ. სამყ. შემოღებული წელთაღრიცხვა
25. „სამი ბლენძის“ ავტორი
26. ხარების ბრძოლა
27. სახოტბო ლექსი
28. ნაწილობრივი სიბნელე
29. შეჯიბრება თხილამურებით მთიდან სწრაფდაშ.
30. ძაღლის ჯიში
31. ჭადრაკის არგენტინელი დიდოსტატი
32. კეთილშობილი მეტალი
33. მიმართვა სკანდინავიელი ქალბატონისადმი
34. აშშ-ის შტატი
35. გავარვარებული ვულკანური მასა
36. თხელი საფლობი ტალახი
37. ინდოეთის ფულის ერთეული
38. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
39. იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი
40. მსახიობი ... ტაილერი
41. „წმინდა“ მოგება ძიუდოში
42. რემუსის და რომულუსის ბაბუა
43. მსახიობი ... გიბსონი
44. ბოლშევიკთა საკულტო ხომალდი
45. ამერიკ. ტელესერიალი „დოქტორი ...“
46. მუსიკალური გამის V ნოტი
47. ალალბედზე მოქმედება
48. ესპერანტოს ვარიანტი
49. ფრინველების „საქორწილო“ თამაში
50. „იქ“ - ძველ ქართულში
51. ტოტალიზატორში მოთამაშის მიერ დადებ. ფული
52. საბავშვო თამაში, სადაც ჯოხით რგოლებს იჭერენ
53. მაუგლის მეგობარი პითონი
54. ტოიოტას მოდელი
55. ქალაქი ფლორიდაში
56. ბადმინტონის სათამაშო ბურთი
57. მსახიობი ... რივზი
58. თევზის ნახარშის სუპი
59. სამაგიდო თამაში
60. ჩრდ. ამერიკის ინდიელთა ქოხი
61. მცენარე მაგარნაჭუჭიანი ნაყოფით
62. თამბაქოს ერთ-ერთი სახეობა
63. სანელებელი მცენარე
64. მდინარე საფრანგეთში
65. წყალი - ლათინურად
66. ორმარ-ცვლიანი მუხლი ანტიკურ ლექსში
67. ფილიპინების სიდიდით მეორე კუნძული
68. მიზანში სასროლი დაწესებულება
69. „სიამოვნების კუნძული“ წყნარ ოკეანეში
70. „ილიადაში“ აღწერილი ლეგენდარული ქალაქი
71. უმაღლესი ხარისხის მინა
72. მაუგლის მეგობარი დათვი
73. ფეთქებადი ნივთიერება
74. რქებდახრილი ხარი
75. ბევრი თვალის მქონე გოლიათი ბერძ. მით.
76. ტელეფონის გამომგონებელი
77. რუსეთის ფულის ერთეული
78. ველური კომში
79. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
80. ჰექტრის მეასედი
81. „სათვალიანი“ გველი
82. ხის სათლელი იარაღი
83. სპილბერგის ფილმი „შინდლერის ...“
84. თვალის ფერადი გარსი
85. მეკვლე ძაღლი „კუჩხი ბედინერში“
86. ბალახის ჩრდილი
87. დროის დიდი მონაკვეთი, ეპოქა



# თაიგულმა მოძრაობის პარალიზება გამოიწვია



კუვეიტის დედაქალაქის მკვიდრმა შეყვარებულის დაბადების დღისა და მოახლოებული ვალენტინობის აღნიშვნა გადაწყვიტა, საკმაოდ უჩვეულო მეთოდით — ქალაქის მთავარ ხიდზე ცოცხალი ყვავილების უზარმაზარი თაიგული გამოფინა. ალისფერი ვარდებისგან შეკრულ წითელ გულს, რომანტიკული წარწერით, მხოლოდ ერთი გოგონას ყურადღება უნდა მიეპყრო, რომელიც ამ გზაზე ყოველდღიურად დადის, თუმცა სიყვარულის ასეთმა ახსნამ ტრასაზე დიდი არეულობა გამიწვია, რადგან იქ მიმავალი თითქმის ყველა მძღოლი თავს ვალდებულად მიიჩნევდა, არა მხოლოდ დეტალურად დაეთვალიერებინა თაიგული, არამედ შეყვარებული ადამიანის საჩუქრისთვის ფოტოც გადაეღო. ახლა ეს ფოტოები — „გული ხიდზე“ კუვეიტის რეგიონულ სოციალურ ქსელში ყველა რეკორდს ხსნის, აქაური პოლიცია კი მოუთმენლად ელის, როდის დაჭკნება ეს „აღიარება“, რომ ხიდიდან გააქრონ და ქალაქის ცენტრში ნორმალური მოძრაობა აღადგინონ.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | | | 8 | | | | 3 | |
| | | 8 | 4 | | 3 | 6 | | 7 |
| 3 | 6 | | | | 1 | | | |
| | | 3 | | | 4 | 2 | | |
| | | | | 5 | | | | |
| | | 4 | 3 | | | 9 | | |
| | | | 2 | | | | 1 | 4 |
| 4 | | 2 | 1 | | 8 | 5 | | |
| | 7 | | | | 6 | | | 9 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 6 | | | | 2 | 5 | |
| | 4 | 3 | | | | | | |
| 9 | | | 8 | | | | 6 | |
| | | 9 | | 4 | | | 2 | 1 |
| | 5 | | | 6 | | | 7 | |
| 3 | 1 | | | 5 | | 9 | | |
| | 8 | | | | 6 | | | 5 |
| | | | | | | 7 | 1 | |
| | 9 | 4 | | | | 6 | | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 5 | | 9 | |
| | | 8 | | 6 | 3 | | | 1 |
| | 5 | 3 | 9 | | | | | 4 |
| | | | 3 | | | 6 | 8 | |
| | | 2 | | 1 | | 4 | | |
| | 9 | 7 | | | 4 | | | |
| 4 | | | | | 6 | 2 | 3 | |
| 2 | | | 5 | 4 | | 1 | | |
| | 7 | | 2 | | | | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 7 | 6 | | | | 4 |
| | | | | | 4 | | | |
| | | 4 | | | | 9 | 5 | |
| 1 | | 7 | | | | 6 | 2 | |
| 4 | 2 | | | | | | 1 | 8 |
| | 8 | 3 | | | | 4 | | 7 |
| | 1 | 2 | | | | 3 | | |
| | | | 1 | | | | | |
| 8 | | | | 9 | 6 | | 4 | |

# გახდომაში იმპლანტანტი დაგეხმარებათ



შვეიცარიის ფედერალური ინსტიტუტის სპეციალისტებმა უნიკალური იმპლანტანტი შექმნეს, რომელიც გასუქებაში ხელს შეგიშლით ამას სიგნალების მეშვეობით მოახერხებს, რომელიც მადას აქვეითებს. სიახლე უკვე გამოსცადეს მსუქან მღრღნელებზე და, როგორც მკვლევარები აცხადებენ, ახალმა მეთოდმა, შესაძლოა, კუჭის ბანდაჟირების (დაპარატავების) ოპერაცია ჩაანაცვლოს. იმპლანტანტი ასობით უჯრედისგანაა დამზადებული და ერთ კაფსულაშია მოქცეული. გენ PPAR-ალფას მაღალი აქტიურობის წყალობით, უჯრედები რეაგირებს ცხიმზე სისხლის მიმოქცევის დროს და გამოათავისუფლებს პრამლინტიდს — ჰორმონალურ სიგნალს. ეს სიგნალი ტვინს იმის შეგრძნებას აძლევს, რომ კუჭი სავსეა. ამგვარად, მადა ქვეითდება. ეს სიგნალი ბუნებრივზე ძლიერია, რადგან ბუნებრივს, შესაძლოა, ხელი ბევრმა ფაქტორმა შეუშალოს, მათ შორის კერძების გემოს შეგრძნებამაც. იმპლანტანტს კიდევ ერთი დადებითი თვისება აქვს — აღარ გამოყოფს ჰორმონს, როცა სისხლში ცხიმის კონცენტრაცია იკლებს. ასეთი კაფსულები ადამიანებს შეიძლება კანქვეშ ჩაუდგან, თუმცა სკეპტიკოსები ამბობენ, რომ უახლოეს პერიოდში ეს იმპლანტი, მიუხედავად მისი ეფექტურობისა, ბაზარზე არ გამოვა.



# ერთი ნახვით სიყვარული არ არსებობს!

ნოთინჰემის უნივერსიტეტის მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ერთი ნახვით შეყვარება არ არსებობს და მხოლოდ წარმოსახვის ნაყოფია, რომლის საფუძველზეც, ადამიანებმა რომანტიკული ზღაპარი მოიგონეს. ბრიტანელი სწავლულები მიიჩნევენ, რომ მეხსიერების მიერ გამუდმებით ხდება წარსულში მომხდარი ფაქტების გადაფასება და ყოველი ახალი შეფასება, ეფუძნება უფრო გამოცდილ ხედვას, რაც, თავის მხრივ, ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველია. მკვლევარები ამბობენ, რომ, თუკი პირველ შეხვედრას ერთი ნახვით შეყვარებად აფასებენ, მხოლოდ ეიფორიის შედეგად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, სინამდვილეში, ამჟამინდელ ურთიერთობას წარსულთან მიმართებაში განიხილავენ და ეჩვენებათ, რომ გრძნობა გაცნობისთანავე გაჩნდა.

# თაფლი მანქანის ფასად იყიდება



მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული თაფლი, რომელსაც „ჯადოსნური“ ჰქვია, თურქეთში იყიდება და ერთი კილოგრამის ფასი 6 800 დოლარია. ეს სპეციალური თაფლი 1800 მეტრის მღვიმედან ამოაქვთ, რომელიც ქალაქ ართვინთან ახლოს მდებარეობს. ადგილობრივი მეფუტკრე აცხადებს, რომ „ჯადოსნური თაფლის“ სიძვირეს მინერალები განაპირობებს. ამ მღვიმეში ფუტკრები ერთ-ერთმა მწყემსმა 2009 წელს შეამჩნია, გაჰყვა მათ და მიხვდა, რომ იქ თაფლი იყო. თუმცა, სიღრმეში ჩასვლა მხოლოდ დაქირავებულმა პროფესიონალმა ალპინისტებმა შეძლეს, რომელთაც იქ 18 კილოგრამ თაფლს მიაგნეს. პროდუქტს ანალიზი საფრანგეთის ლაბორატორიაში ჩაუტარდა და დადგინდა, რომ ეს ხარისხიანი, მინერალებით გაჯერებული პროდუქტი იყო და ერთი კილოგრამი პროდუქტი საფრანგეთის საფონდო ბირჟაზე 45 ათას ევროდ გაიყიდა, მეორე მყიდველები ჩინელი ფარმაცევტები იყვნენ, რომლებმაც 28 ათასი ევრო გადაიხადეს, ახლა კი თაფლი 5 ათასი ევრო ღირს და 170 და 250-გრამიან ქილებში იყიდება.

# აუტიზმის მიზეზი — ქლორი

ფრანგი მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბავშვებში აუტიზმის ძირითადი მიზეზი თავის ტვინში ქლორის მაღალი დონეა. ნეიროფიზიოლოგები აცხადებენ, რომ ქლორი უშლის ხელს ტვინის ნორმალურ მუშაობას. თუკი მავნე ნივთიერების გამოსაყვანად შარდმდენ საშუალებებს გამოვიყენებთ, სენის სიმპტომები ქვეითდება. მეთოდი უკვე წარმატებით გამოსცადეს ლაბორატორიულ ცხოველებზე, უახლოეს პერიოდში კი, ფრანგი სპეციალისტები კლინიკურ გამოცდასაც გეგმავენ და მეთოდის ეფექტურობის გამოსავლენად კვლევაში აუტიზმით დაავადებულ ბავშვებს ჩართავენ.



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 9 | 3 | 5 | 7 | 8 | 4 | 6 |
| 4 | 8 | 5 | 2 | 1 | 6 | 3 | 9 | 7 |
| 3 | 7 | 6 | 9 | 4 | 8 | 5 | 2 | 1 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 7 | 3 | 4 | 1 | 2 | 9 | 6 | 8 | 5 |
| 6 | 5 | 2 | 8 | 3 | 4 | 1 | 7 | 9 |
| 9 | 4 | 7 | 6 | 8 | 1 | 2 | 5 | 3 |
| 8 | 6 | 3 | 5 | 9 | 2 | 7 | 1 | 4 |
| 5 | 2 | 1 | 4 | 7 | 3 | 9 | 6 | 8 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 5 | 8 | 7 |
| 7 | 8 | 5 | 6 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 7 | 5 | 6 | 4 | 9 |
| 4 | 7 | 6 | 1 | 3 | 2 | 9 | 5 | 8 |
| 5 | 3 | 9 | 7 | 8 | 6 | 4 | 1 | 2 |
| 2 | 1 | 8 | 9 | 5 | 4 | 7 | 3 | 6 |
| 8 | 9 | 2 | 5 | 6 | 3 | 1 | 7 | 4 |
| 6 | 5 | 7 | 4 | 1 | 8 | 2 | 9 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 2 | 9 | 7 | 8 | 6 | 5 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 3 | 2 | 4 | 5 | 9 | 8 | 7 | 6 |
| 4 | 9 | 7 | 8 | 6 | 1 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 8 | 5 | 7 | 3 | 2 | 4 | 1 | 9 |
| 2 | 1 | 4 | 6 | 9 | 8 | 7 | 3 | 5 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 | 9 | 1 |
| 9 | 5 | 3 | 2 | 1 | 7 | 6 | 8 | 4 |
| 7 | 6 | 8 | 9 | 2 | 5 | 1 | 4 | 3 |
| 5 | 4 | 1 | 3 | 7 | 6 | 9 | 2 | 8 |
| 3 | 2 | 9 | 1 | 8 | 4 | 5 | 6 | 7 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 8 | 2 | 1 | 5 | 3 | 9 | 7 | 6 |
| 6 | 7 | 1 | 9 | 2 | 4 | 8 | 3 | 5 |
| 3 | 9 | 5 | 8 | 7 | 6 | 4 | 2 | 1 |
| 8 | 6 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 4 | 3 | 6 | 1 | 9 | 2 | 8 | 7 |
| 2 | 1 | 7 | 5 | 3 | 8 | 6 | 9 | 4 |
| 1 | 5 | 8 | 4 | 9 | 7 | 3 | 6 | 2 |
| 7 | 3 | 6 | 2 | 8 | 1 | 5 | 4 | 9 |
| 9 | 2 | 4 | 3 | 6 | 5 | 7 | 1 | 8 |

მე-12 გვერდი: 1. ბერნსტაინი; 2. კაბრიოლეტი; 3. „აუდი“; 4. რარიტეტი; 5. ერაყი; 6. რუმინეთი; 7. სეპარატიზმი; 8. ალსუ; 9. ნონეტი; 10. ადორაცია; 11. სტალაგმიტი; 12. იგოეთი; 13. ბზე; 14. მოპასანი; 15. ური; 16. ასაბია; 17. უტა; 18. იუკონი; 19. სტილბი; 20. ადონისი; 21. „ლაციო“; 22. გეტრი; 23. პერსევსი; 24. ნერუ; 25. ისარა; 26. კოლიე; 27. კიჭი; 28. აარე; 29. პელოტა; 30. ავდარი; 31. თეტიდა; 32. აზო; 33. ნაგოია; 34. თამრო; 35. ვიტალი კლიჩკო; 36. ანა; 37. აზანი; 38. იაბო; 39. რაე; 40. სტაბია; 41. მზიანი; 42. ნიუ; 43. ცრუ; 44. შიო; 45. სპილო; 46. ალ; 47. ალჩუ; 48. სოია; 49. ნოინი; 50. ნიცშე; 51. ასალი; 52. პანი; 53. არალი; 54. ოე; 55. ინი; 56. მიხო; 57. ჯონ; 58. ტიტრი; 59. აკრიბია; 60. სუმელჯი; 61. სნო.



1. ინგლისელი მწერალი ... მოემი
2. კულინარიაში ხმარებული ფხვნილი
3. ერთეულოვანი ვექტორი
4. ფეხბურთის მეფე
5. ვენეციის მმართველის ტიტული
6. დიდი იტალიელი სკულპტორი და ფერმწერი
7. ქართველ ქალთა ცეკვა
8. სამეცნიერო ნაშრომის სახეობა
9. პავაროტის და დომინგოს „კოლეგა“
10. ზღვის „დასალევი ინსტრუმენტი“
11. სიგარის ფორმის წყალქვეშა ჭურვი
12. სურამის ციხეში ჩაყოლებული ვაჟი
13. მდინარე ინდოეთში
14. ოგიუსტ როდენის ცნობილი სკულპტურა
15. უძველესი ქალაქი მცირე აზიაში
16. თეთრგვარდიელი გენერალი
17. ვულკანური ცხელი წყარო
18. ებრაელთა საცხოვრ. ფაშისტურ გერმანიაში
19. ინდონეზიის კუნძული
20. დიდი რუსი მოჭადრაკე
21. IV მუს. ინტერვალი
22. ჟურნალისტის საუბ. რესპონდენტთან
23. ჰორიზონტალური ფიცარი ფანჯრ. ქვეშ
24. ორი წერტილი კამათელზე
25. სამკურნალო მცენარე
26. შუქგაუმ. ფუტლარი ფოტოფირისთვის
27. ირანის ფულის ერთეული
28. სუსტი ქარი, ნიავი
29. რუსული ესტრადის პრიმადონა
30. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
31. ზატკანი ერთ წლამდე
32. იგივეა, რაც სალათის ძილი
33. ბიძია-ბაზუას სატრ. „შერეკილებში“
34. როკ-მუსიკის თაყვანისმცემელი
35. დასტურის სიტყვა ინგლისურში
36. ღვთაებრივი მხსნელი
37. საშემოდგომო ვაშლის ჯიში
38. დიდი ტიკი
39. ინდიელთა შხამი
40. კვერცხის თეთრი გარსი
41. ჩრდ. ამერიკული ტრამალის მგელი
42. დაბალი ბუსუსები ქსოვილზე
43. მართლმადიდებელი ეკლ. წესების კრებული
44. კიტა ბუაჩიძის „ეზოში ... ძაღლია“
45. მფრთხალი, შეუჩვეველი საქონელი
46. არაბული ფლეიტა
47. აფრიკული შხამიანი ბუზი
48. გასეირნება ბავშვის ენაზე
49. წყალქვეშა კლდე
50. სოფელი ონის რაიონში
51. ებრაელთა წინამძღოლი ...-ნავე
52. ლატვიის ეროვნული ვალუტა
53. შიშველი სხეულის გამოსახვა ფერწერაში
54. გვარის, ტომის მამამთავარი
55. იგივეა, რაც ამბორი
56. ნაბიჯი კლკისურ ცეკვაში
57. ქრისტიანული დღესასწაული, რომელიც 23 ნოემბერს აღინიშნება
58. ოტელოს „მტერი“
59. ინდიელთა ტომი
60. დახრილი შრიფტი
61. იერუსალიმის არაბული სახელწოდება ...-ყუდსი
62. რომის „გადამარჩენელი“ ფრინველი
63. მწერალი ... იოსელიანი
64. დიდი შხამიანი გომბეშო
65. იტალიელი დრამატურგი დარიო ...





ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**


## შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**


**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



# ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, რუსუდან შელია, ნათია ვასაძე.
სტილისტი: ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.